

# დამოუკიდებელი საქართველო

La Géorgie

Indépendante

Revue mensuelle

JUILLET

1934—№ 103

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი პ ა რ ტ ი ე ბ ი ს ო რ გ ა ნ ო .

## შ ი ნ ა ა რ ს ო :

მეთაური—კავკასიის კონფედერაციის პაქტი.  
ნ. კ. კავკასიის კონფედერაცია.  
კავკასიის კონფედერაციის პაქტი.  
კავკასიის დამოუკიდებ. კომიტეტის მოწოდება.  
მ. ე. რასულ-ზადე—ისტორიული აქტი.  
ჰიბრაჰიმ ჩელიკ—თექვსმეტი წლის შემდეგ.  
კავკასია და სომხები.

ვირილე ვაკაბაძე—კომუნისტები საქართველოში  
მ. ლ—მე—საქარ. საკითხი ჩეხოსლოვ. სენაშტი.  
ნ. შავიშვილი—პროფ. ო. ნიპოლი.  
მეგობრობის კომიტეტი.  
ს.—ბრონისლავ პერაცკის სსოვნას.  
ო.—დენ. ივანე ჯაფარიძე.  
კანაბერი—საბჭ. წიგნის გამოფენა ვარშავაში.

## კ ა ვ კ ა ს ი ი ს კ ო ნ ფ ე დ ე რ ა ც ი ი ს პ ა ქ ტ ი

მკითხველი გაეცნობა ქვევით კავკასიის კონფედერაციის პაქტის სიტყვა სიტყვით თარგმანს. დედანი დაწერილია და ხელმოწერილი ფრანგულად და ეს მომასწავებელია იმის, რომ კავკასიის რესპუბლიკათა წარმომადგენელი ეკვირან ერთმანეთს საერთაშორისო ნიადაგზედ, ე. ი. კონფედერაცია ემყარება თვითველ რესპუბლიკის უზენაესობას, პირველი თავდება მეორის უზრუნველყოფის და რომ ყველა აქ დადებულნი ხელშეკრულებანი მხოლოდ მაშინ შევლენ ძალაში, როცა ისინი მოწონებულ და დამტკიცებულ იქნებიან კავკასიის განთავისუფლებულ ერთა უზენაეს ორგანოთა მიერ სათითაოთ.

პაქტის ხელმოწერთა შორის მკითხველი ვერ დაინახავს სომხეთის წარმომადგენლებს და ეს აიხსნება, რა თქმა უნდა, არა მათი გულგრილობით კონფედერაციისადმი, არამედ იმ განსაკუთრებული მდგომარეობით, რომელშიც ისინი თავის თავს სთვლიან. მართალია, ჩვენ არ ვიზიარებთ მათ მერყეობას, პირიქით, თუ რომელიმე ერი არის დაინტერესებული კავკასიის მთლიანობაში, მის კონფედერატიულად ჩამოყალიბებაში, ესაა პირველ რიგზე სწორეთ სომხეთი, გეოგრაფიულად მოწყვეტილი ზღვებისგან, ეკონომიურად მიჯაჭული ბაქო ტფილის-ბათუმზე, პოლიტიკურად გაუთიშველი კავკასიის საერთო პოლიტიკიდან.

ეს იმდენათ ნათელია, იმდენათ გარდაუვალი, რომ თვით სომხის ერმა არა ერთხელ გაუკეთა დეზა-

ვუაცია მის წარმომადგენლებს უცხოეთში. აიღეთ მართო მთელი ეპოპეა ბრძოლებისა, რომელიც სომხეთის გლახობამ გასწია ხელი ხელ ჩაკიდებული აზერბაიჯანის და საქართველოს გლახობასთან 1930 და 1932 წლებში, სტალინის კოლექტივიზაციის წინააღმდეგ, რომ დარწმუნდეთ სომხეთის ანტიბოლშევიკურ ეროვნულ მისწრაფებაში, მის მაქსიმალურ სოლიდარობაში მეზობლებთან. განა ასეული, ათასეული გადასახლებანი გაყინულ ჩრდილოეთში სომეხ, ქართველ, თათარ და მთიელ პატრიოტთა, მათი დაჯგუფებანი ადგილობრივ ციხე-ჯურღმულებში იმას არ ამტკიცებს, რომ ისინი ლზინში და ჭირში ერთმანეთს ეკუთვნიან?

ჩვენთვის, ქართველებისთვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სომხეთის ყოფნას კავკასიის ერთეულში, და ვფიქრობთ, ამასვე უნდა ამბობდენ სომხები საქართველოზე. რატომ? დააკვირდით ორივე ერის ისტორიას, მათ თავგადასავალს, დამოკიდებულებას საუკუნეთა გასწვრივ და დარწმუნდებით, რომ ხშირათ შეუძლებელია საქართველოს წარსულის გაგება სომხურ წყაროების შეუსწავლელად და წინაუკმო. მაგრამ აი უფრო ცხოველი ფაქტი. კავკასიის ოთხი ერიდან საქრისტიანო საქართველო და სომხეთი მიბჯენილი არიან სამაჰმადიანო თურქეთთან, ხოლო სამაჰმადიანო აზერბაიჯანი და მთა-საქრისტიანო რუსეთთან, ნაწილათ უკრაინასთან. ესლა წარმოდგინეთ მდგომარეობა წინაუკმო: ქარ-



თველები და სომხები რუსეთის მოსახლდვრე რომ ვყოფილიყავით, ხოლო თათრები და მთიელი—თურქეთის, რა იქნებოდა შედეგი? პირველთ გათქვეფის საშიშროება მოელოდათ რუსებთან, ხოლო მეორეთ—თურქებთან—ასე დიდი იყო სარწმუნოების მნიშვნელობა წარსულში—და კავკასია, როგორც ასეთი, შუაზე გაიპობოდა! მაშასადამე, საქართველო და სომხეთი ცოცხალი ზღუდეა პანთურქულ მისწრაფებათა სამხრეთით, ხოლო აზერბაიჯანი და მთა იგივე ზღუდეა პანსლავურ მისწრაფებათა სამხრეთით.

ცხადია, სომხეთის წარმომადგენელი შეიგნებენ ადრე თუ გვიან, რომ მათთვის არ არსებობს სხვა ორიენტაცია, გარდა კავკასიის ორიენტაციისა, რომ მოსკოვის ხელისუფლება, რომლის წინააღმდეგ ასე გმირულათ იბრძვიან, ადგილობრივ, სომხები და მათი მეზობლები, კავკასიის დაუძინებელი მტერია. ისინი შეიგნებენ იმასაც, რომ მთლიან, კონფედერატიულ კავკასიას მეტ ანგარიშს გაუწევენ როგორც რუსეთი, ისე თურქეთი და სპარსეთი, და კავკასია თავის ისტორიულ როლს ითამაშებს ორ ხმელეთის, აზია და ევროპის, ეკონომიურ და გონებრივ ურთიერთობაში და მათ შორის მშვიდობიანობის განმტკიცებაში.

სიტყვა გავიგრძელდა, მაგრამ ეგ საჭირო იყო იმისთვის, რომ მკითხველს განსაკუთრებული ყურადღება მიექცია პაქტის უკანასკნელ მუხლისათვის, სადაც ნათქვამია: ამ პაქტში შენახულია ადგილი სომხეთის რესპუბლიკისათვის. რას ნიშნავს ეს? იმას, რომ სომხეთი განუყრელი წევრია კავკასიის კონფედერაციის, ის შევა იქ თავის ნებით და შეიტანს დაუფასებელ საუნჯეს თავის ცოდნა-გამოცდილებსა, ხასიათის სიმტკიცისა და გამძლეობისა, მთელი თავისი გენიოსობისა.

ერთ გარემოებასაც უნდა მივაქციოთ მკითხველის ყურადღება: დღეს გამოქვეყნებულ პაქტში ახალი მაინც და მაინც არაფერია; 1921 წელს ოთხივე რესპუბლიკის მიერ გამოქვეყნებულ დეკლარაციაში მკაფიოდ იყო აღიარებული კონფედერაციის საფუძვლები; 1924 წლის ოთხივე რესპუბლიკის მეორე დეკლარაციაში, ქართველ ერის გმირულ აჯანყების ქუთაზედ, აღბეჭდილ იქნა კავკასიის ეკონომიური და პოლიტიკური მთლიანობა; იმავე 1924 წლის ნოემბერში საქართველოს, აზერბაიჯანის და მთის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს საერთაშორისო ხასიათის ოქმს, სადაც ამ მთლიანობას კონფედერაცია დაარქვეს. მაგრამ იქვე იყო დადგენილი, რომ ამ ოქმს არ გამოაქვეყნებდენ ისინი, სანამ სომხეთის

წარმომადგენელი ხელს არ მოაწერდენ მას. შემდეგ, მთელი 1925 და ნაწილათ 1926 წ.წ. მოლაპარაკება სწარმოებდა ოთხ რესპუბლიკათა საბჭოში, რომელიც დღესაც არაა გაუქმებული ფორმალურათ, რომ სომხეთის წარმომადგენლებს მეზობლებთან ერთათ საჯაროთ აღეარებით კონფედერაცია, ისე როგორც აღიარებდენ მას თვით საბჭოში. ეს არ მოხდა და მას შემდეგ არა ერთხელ ყოფილა იგივე ცდა განმეორებული. ვიცადეთ, მაშასადამე, ათი წელიწადი და ამ დროს განმავლობაში ბევრი რამ მოხდა.

და ერთი ამ მომხდარ ამბებისა აქვე უნდა დავასახელოთ: რუსეთის შესვლა ევროპის კონცენტრში. შეგვეძლო ჩვენ კიდევ ცდა? არა, ათასჯერ არა!

კონფედერაციის პაქტის გამოქვეყნებას უაღრესი მნიშვნელობა აქვს, პირველ ყოვლისა, თვით კავკასიის მეტროპოლიტებისთვის. ისინი იბრძვიან დამოუკიდებლობისათვის და თვით ამ ბრძოლაში ხედვენ რამდენათ საჭიროა და აუცილებელი ერთი მთლიანი კავკასიის ფრონტი საბოლოო გამარჯვებისთვის. კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტის მოწოდება, რომელიც აქვე თავსდება, სწორეთ ამ დიდ მომენტზე მიუთითებს კავკასიის ერებს. უკანასკნელი სათითაოთ იბრძოდენ ეროვნულ დროშის ქვეშ; დადგა დრო, როცა ისინი უნდა ჩადგენ ერთ ფრონტში და ამისათვის ეროვნულ დროშის გვერდით უნდა ააფრიალონ კავკასიის კონფედერაციის დროშაც. ეს იქნება მხოლოდ ლოლიკური დასკვნა განვლილ საერთო ბრძოლებისა, რაზედაც ზევით გვქონდა ლაპარაკი.

მაგრამ პაქტის გამოქვეყნებას არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს უცხოეთში ნაყოფიერათ მუშაობისათვის. ჩვენი უბედურების პირველ წლებში, როგორც მკითხველი შენიშნავდა ზევით ნათქვამიდან, კავკასიის ოთხივე რესპუბლიკა, შემდეგ სამი რესპუბლიკა ხშირათ გამოდიოდა ევროპის საზოგადო აზრის წინაშე, როგორც ერთი მთელი, მაგრამ არავინ იცოდა გარკვევით რა პოლიტიკური სახეობა ექნებოდა მას მომავალში. ჩვენ მივიღეთ 1924 წ. კონფედერაცია. მაგრამ საჯაროთ მხოლოდ დღეს შეგვიძლია ამის თქმა. ესლა არ შეუძლია არც ერთ სახელმწიფო მოღვაწეს ევროპაში გვიხიხას, რომ კავკასია პოლიტიკურათ რაღაც გაურკვეველ ცნებას წარმოადგენს. ვერც მოსკოვიტები შესძლებენ არ წმუნონ ქვეყნიერება, ვითომ კავკასიის ერებს არ ძალუძთ ერთათ მშვიდობიანი ცხოვრება, თუ არა რუსეთის ხიშტი ტფილისში.





პაქტის მე-5 მუხლში ლაპარაკია იმაზე, რომ უნდა დაარსდეს ექსპერტების კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს კავკასიის კონფედერაციის კონსტიტუციის პროექტი. მკითხველს ახსოვს, რომ საქართველოს ეროვნულმა ცენტრმა უკვე შეიმუშავა ერთი პროექტი და ჩვენმა გაზეთმა კიდევ გამოაქვეყნა ის შარშანწინ და მას ზედ მოაყოლა მთელი რიგი კომენტარიებისა, რომელიც იბეჭდებოდა თვიდან თვე ერთი წლის განმავლობაში. კომისიის არჩევას და პროექტის განხილვას ეჭვირება კავკასიელ წარმომადგენელთა საერთო თათბირი და ეს უნდა მოხდეს რაც შეიძლება ჩქარა.

მაგრამ რაც ყველაზე საშურია და აუცილებელი, ესაა კავკასიის საერთო აღმასრულებელ ორგანოს დაარსება, რომელმაც, საერთაშორისო პრინციპების მიხედვით, შეთანხმებით, უნდა უხელმძღვანელოს კავკასიელ ერთა მჭიდრო თანამშრომლობას შინ და გარეთ. არის, მაშასადამე, ორი მთავარი შტო თანამშრომლობისა, რევოლუციური და დიპლომატიური, პირველი სულის ჩამდგმელია მეორის, ან კიდევ, მეორე დამატებაა პირველის. არსებული კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტი მხოლოდ პირველი საფეხურია ამ გზაზე.

აქვე უნდა აღვნიშნოთ გარკვევით, რომ საერთო ორგანო და მისი ხელმძღვანელობა სულაც არ ნიშნავს, ვითომ ცალკე რესპუბლიკებს საკუთარი ორგანოები და ხელმძღვანელობა არ დასჭირდებათ. პირიქით, შეთანხმებით თანამშრომლობა იმის მომსწავებელია, რომ არიან ეროვნული ორგანოები, რომელნიც ჰქმნიან საერთო ორგანოებს, აძლევენ მათ მანდატს კავკასიის სახელით მოქმედებისა, ისე როგორც ეროვნული ორგანო მოქმედებს სათანადო ერის სახელით, რასაკვირველია, დანარჩენ სამი ერის ინტერესების დაურღვეველათ.

ეროვნული ორგანოები გვაქვს, არა გვაქვს საერთო კავკასიური ორგანო—აი რა უნდა შევქმნათ დაუყოვნებლივ. პაქტის გამოქვეყნება დიდი საქმეა, მაგრამ მას ხომ განაღდება ეჭვირება, ვინ უნდა იკისროს ეს, თუ არა საერთო ორგანომ?

აიღეთ ერთი მაგალითი. ამ შემოდგომას საბჭოთა კავშირი აპირებს ერთა ლიგაში შესვლას, მოსკოვის მთავრობა ლამობს ჩვენი სახელით, ე. ი. ჩაგრულ ერთა სახელით ერთგვარი მისტიფიკაციის მოხდენას. ვანა დასაშვებია, რომ კავკასიის ერებმა თავისი სიტყვა არა სთქვან ექნევაში? ისინი იტყვიან, იმედია, სათითაოთ, მაგრამ ვანა საქირო არაა ერთა-თაც სთქვან? ამ რიგათ, პაქტი ერთია, ხოლო მისი განაღდება—მეორე.

### კავკასიის კონფედერაცია

ჩვენი გამოცემის ამ ნომერში იბეჭდება კავკასიის კონფედერაციის პაქტი, ხელმოწერილი კავკასიის სამი ერის წარმომადგენლების მიერ.

ეს პაქტი არ არის იმპროვიზაცია, საზღვარ-გარეთ გამოგონილი და შეთხზული ახალი ამბავი. ის მოდის თვით კავკასიიდან, იქ მოზინადრე ერთა მიუცილებელი მოთხოვნებიდან და საქიროებისაგან. ცალკე ეროვნულ სახელმწიფოთა დაარსებას წინ მიუძღოდა ჩვენში მთელი კავკასიის თვითგამორკვევა და ამიერ-კავკასიის ფედერაციის დაარსება 1918 წ. რუსეთის უღლისაგან განთავისუფლება ხდება საერთო ძალღონით, ერთათ დგომით და ერთათ ბრძოლით. ეს იყო ბუნებრივი, სტიქიური მოძრაობა კავკასიის ხალხების ერთი-მეორისაკენ, ჭირში და ლხინში ერთათ ყოფნისაკენ. ეს ხალხთა გულიდან ამოხეთქილი ნაკადული ერთა სოლიდარობის შეეხეთქა დიდი ომის ნაკადულს, რაიცა წვდა ჩვენს შორეულ ქვეყანასაც და დამარცხდა. ფედერაცია დაიშალა, თვითეული ერი იძულებული ხდება თავს უშველოს ცალ-ცალკე, აარსებს დამოუკიდებელ სახელმწიფო ერთეულებს, იმ იმედით რომ კავკასიური ერთობა კვლავ აღდგება და ერთ მთლიან საფარველს ქვეშ ძმურათ თავს მოიყრიან დროებით გათიშული ძმები. ჩვენ წილათ გვხვდა ეს საერთო, საკავკასიო იმედი გამოგვეთქვა თავიდანვე, იმ დღეს როცა ფედერაცია დაიშალა და საქართველოს რესპუბლიკა გამოცხადდა. 1918 წ. 26 მაის საქართველოს ნაციონალური საბჭოს პირველსავე სხდომაზე ეს იმედი გამოითქვა ამ სიტყვებით:

«მოქალაქენო, დღეს თქვენ იყავით მოწამე იშვიათი და თან დრამატიულ-ისტორიული აქტის. ამ დარბაზში მოკვდა ერთი სახელმწიფო და აი ახლა ამვე დარბაზში ეყრება საფუძველი მეორე სახელმწიფოს. ამ ორ სახელმწიფოთა შორის, რომელთაგან ერთი მოკვდა, მეორე კი იბადება, არ შეიძლება ყოფილიყოს ინტერესთა წინააღმდეგობა... საქართველოს ხალხნი, გაერთიანებული საერთო დროშის ქვეშ, დასდებენ კავშირს იმ ხალხებთან, რომელნიც ცხოვრობენ ჩვენი სახელმწიფოს გარეთ და ამ გზით აღსდგება სახელმწიფოებრივი ერთობა, და აღადგენს ჩვენ თვალწინ დანგრეულ სახელმწიფოს. ეს სახელმწიფო იქნება კავკასიის კონფედერატიული კავშირი. ჩვენი გზა, ჩვენი იდეალი მიიმართება ასეთი კავშირის შექმნისაკენ».

ამ იმედის გამართლება იქ ვერ მოვასწარით; დანაწილებული კავკასია დაიპყრო მტერმა ნაწილ-ნაწილათ. იმედი დარჩა იმედათ, ხალხთა გულში აღ-





გზნებულ ლამპარათ და მოელის განხორციელებას მომავალში.

კონფედერაციის პაქტი, როგორც ხედავთ, მოდის კავკასიიდან, მისი დროშა იქ აღიმართა, მისი საყვირი იქ გაისმა, მას შეეწირა მრავალი მსხვერპლი. ჩვენ მხოლოდ მას მივეციტ აქ იურიდიული ფორმა, ჩამოვყალიბეთ მისი სტატუტი, მივეციტ წერილობითი ბაზა იმ ბრძოლას თავისუფლებისათვის, რასაც ჩვენს ქვეყანაში ეწევიან ყველა ერთათ, ერთგულების განურჩევლათ, თათარი, ქართველი, სომეხი და მთიელი. ეს ოთხი ხალხი, უხსოვარი დროიდან დასახლებული ერთ ტერიტორიაზე, ერთი მეორის გვერდით, თავისი საარსებო ინტერესებით გადაჯაჭვული იყვენ და არიან ერთიმეორეზე; ერთი ვერ წავა წინ თუ მეორე არ გაიყოლია, ერთი ვერ წაიქცევა თუ მეორეც თან არ ჩაიყოლია. საქართველოს თავისუფლების დაკარგვას მოყვა მთელი კავკასიის თავისუფლების დაკარგვა მე-19 საუკუნეში; კავკასიის თავისუფლების დაკარგვას მოყვა საქართველოს თავისუფლების დაკარგვაც მეოცე საუკუნეში. ასე იყო მუდამ და ასე დარჩება მომავალშიაც. ან ერთათ თავისუფლებაში, ან ცალ-ცალკე მონობაში, მემამე გზა ისტორიას არ მოუცია. კავკასიის ხალხებს ეს ქეშმარიტება შეგნებული აქვთ, ისინი იბრძვიან ხელიხელ ვაყრილნი ტირანიის წინააღმდეგ. ჩვენი პაქტი მხოლოდ იურიდიული გამოხატულებაა დღევანდელი ბრძოლის და ხვალინდელი გამარჯვების. მის დროშაზე აწერია ერთა, ყველა ერთა, სოლიდარობა, თავისუფლების და დამოუკიდებლობის ნიადაგების ებრძვის მხოლოდ ძალმომრეობას, უღელს და მტარვალობას. მისი იდეალია მოწინავე კაცობრიობის იდეალი, მისი გზა მიიმართება ისტორიული აუცილებლობის გეზით. ერი უნდა იყოს თავისუფალი, ამას ვერ შეაჩერებს ვერავინ.

კავკასია ერთი მთლიანი ტერიტორიალური და ეკონომიური ორგანიზმია; აქვთ არ ძვეს გზანი არც ჩრდილოეთის, არც სამხრეთის; მათი საარსებო გასავალნი სხვაგან არიან; აქ ძვეს მხოლოდ ერთი მოკლე გზა—დასავლეთიდან აღმოსავლეთში, აღმოსავლეთიდან დასავლეთში. კავკასიას შევეყვართ შუაგულ აზიაში, ამ კაცობრიობის და კულტურის უძველეს აკვანში. ეს გზა დღეს დახშულია, მას გახსნის მხოლოდ თავისუფალი კავკასია; ამ თავისუფლებაში დანტერესებულია ყველა ერი, ყველა სახელმწიფო, რომელიც კი არ არის შეპყრობილი ვიწრო ნაციონალიზმით და ფართე იმპერიალიზმით. კავკასიის პრობლემა საკაცობრიო პრობლემაა; მისი გადაჭრის ფორმა ერთათ-ერთია, ეს არის კავკასიის კონფედერაცია.

კავკასიის ერი დგანან რა პაქტის ნიადაგზე მოუწოდებენ საბჭოთა კავშირის ყველა ჩაგრულ ერთ და ხალხთ შეერთებული ძალდონით კომუნისტური ტირანიის დასანგრევათ და საერთო თანხმობით ერთა და ხალხთა ცხოვრების და ურთიერთობის ასაგებათ თავისუფლების და კეთილმეზობლობის საფუძველზე.

კავკასიის პაქტი არის საუკეთესო ფორმა ამ ურთიერთობის გასატარებლათ. აღმოსავლეთის პატარა მეზობელ ერთა შესაკავშირებლათ და მძლავრ საერთაშორისო ფაქტორათ გადასაქცევათ. ერთათ დგომით აშენდებიან, ცალ-ცალკე დგომით დაიქცევიან...

ნ. ქ.

### კავკასიის კონფედერაციის პაქტი

აზერბაიჯანის, ჩრდილო კავკასიის და საქართველოს ეროვნული ცენტრები,

იღებენ რა მხედველობაში, რომ ერთა ყოველმხრივი განვითარება შესაძლებელია მხოლოდ მათი სრული დამოუკიდებლობის პირობებში,

დარწმუნებულნი, რომ ამ მიზნის მიღწევა უაღრესად ძნელია გარეშე კავკასიის ყველა ძალების გაერთიანებისა საერთო საზღვრების ფარგალში,

დარწმუნებულნი, რომ კავკასიის ერთა სასიცოცხლო ინტერესების დაცვა მოითხოვს მათი საგარეო პოლიტიკის და მათი ეროვნული თავდაცვის საერთო ხელმძღვანელობას,

დარწმუნებულნი, რომ ამგვარი კავშირით კავკასიის თითოეული ერი მოიპოვებს რეალურ გარანტიას თავისი სუვერენიტეტისა, აუცილებელის ინტელექტუალური და მატერიალური ძალების სრული განვითარებისათვის,

დარწმუნებულნი, რომ იღებენ რა კავკასიის რესპუბლიკათა კავშირის საფუძვლებს, ისინი ეყრდნობიან ყველა მათ თანამემამულეთა მხარის დაჭერას,

ერთსულოვანნი იმაში, რომ კონფედერაცია როგორც პოლიტიკური ფორმა კავკასიის სახელმწიფოთა მოცემულია ამ ქვეყნების გეოგრაფიული და ეკონომიური ერთობით,

აცხადებენკავკასიის კონფედერაციის შემდეგ საფუძვლებს:

1. კავკასიის კონფედერაცია, უზრუნველყოფს რა შიგნით თითოეულ რესპუბლიკის ეროვნულ ხასიათს და სუვერენიტეტს, იმოქმედებს გარეთ ყველა რესპუბლიკების სახელით, როგორც საერთაშორისო ერთეული უმაღლეს წყობისა. კონფედერა-



ციას ექნება საერთო საზღვარი პოლიტიკური და საბაჟო.

2. კონფედერაციაში შემავალ რესპუბლიკების საგარეო პოლიტიკას უხელმძღვანელებს კონფედერაციის სათანადო ორგანოები.

3. კონფედერაციის საზღვართა დაცვა მიენდობა კონფედერაციის არმიას. შემდგარს კონფედერაციაში შემავალ რესპუბლიკების არმიებისაგან, ერთ მთავარ-სარდლობით, რომელიც ექვემდებარება კონფედერაციის ხელმძღვანელ ორგანოებს.

4. ყოველივე დავა, რაიცა შეიძლება ატყდეს კონფედერაციაში შემავალ რესპუბლიკათა შორის და რომლის მოგვარება პირდაპირი მოლაპარაკებით შეუძლებელი აღმოჩნდება, უნდა გადაეცეს სავალდებულო არბიტრაჟს, ან კონფედერაციის უზენაეს სამსჯავროს. კონფედერაციაში შესული რესპუბლიკები ვალდებული არიან ბას უცვლელათ მიიღონ და აღასრულონ ამთი ყოველი განაჩენი.

5. ექსპერტთა კომისია შეიმუშავებს უახლოეს დროში კავკასიის კონფედერაციის კონსტიტუციის პროექტს ზემოთ დასახულ პრინციპების მიხედვით: ეს პროექტი გახდება ბაზად თითოეულ რესპუბლიკის პირველ დამფუძნებელ კრების მუშაობისათვის.

6. ამ პაქტში დატოვებულია ადგილი სომხეთის რესპუბლიკისათვის.

აზერბაიჯანის სახელით:

ე. რასულ ზადე,

აზერბაიჯანის ეროვნულ საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე და აზერბაიჯანის ეროვნულ ცენტრის თავმჯდომარე.

ალი მარდან ტომჩიზაძე,

აზერბაიჯანის რესპუბლიკის დელეგაციის თავმჯდომარე და მთავრობის ყოფილი თავმჯდომარე.

ჩრდილო-კავკასიის სახელით:

გიორი სუნუ.

იმრაჰიმ ჩელიკ.

ტაუსულტან შაჰმან.

საქართველოს სახელით:

ნოე კოდრანია,

საქართველოს რესპუბლიკის ყოფილი თავმჯდომარე და საქართველოს ეროვნულ ცენტრის თავმჯდომარე.

აგაჯი ჩხენკელი,

საქართველოს ყოფილი სრულუფლებიანი მინისტრი საფრანგეთში.

დადებულია ბრიუსელში

14 ივლისს 1934 წელს.

### კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტის

### გ ო ყ ო დ ე ბ ა

კავკასიის ყველა მამულიშვილს

ღრმა კმაყოფილებით შეგვიძლია გაუწყოთ ყველას, რომ აზერბაიჯანის, საქართველოს და ჩრდილო კავკასიის ეროვნულ ცენტრების, — რომელთაც შეადგინეს კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტი, — სრულუფლებიანმა რწმუნებულებმა შეკრეს და ხელი მოაწერეს კავკასიის კონფედერაციის პაქტს.

კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტის დონიშნულება, დღიდან მისი დაარსებისა, იყო ერთმანეთთან დაახლოვება კავკასიის ყველა ერის და გაერთიანება ყველა მათი ძალის საერთო ბრძოლაში დაკარგული დამოუკიდებლობის აღსადგენად. ამ მიზნის განხორციელებისთვის, კ. დ. კომიტეტი ყოველი საშუალებით ცდილობდა მტკიცედ აღებუდა ყველა იმ კავკასიელის შეგნებაში, რომლებიც მუდამ ეროვნულ იდეალისთვის იბრძოდნენ, იმის რწმენა, რომ სასიცოცხლო ინტერესი მოითხოვს, რაც შეიძლება მალე განხორციელდეს კავკასიის კონფედერაცია, რომელიც არის საუკეთესო საშუალება ჩვენი ეროვნული ინტერესების დასაცავად. დღეს თვით ამ პაქტის გამაქვეყნებით კ. დ. კომიტეტი ამთავრებს თავის მოქმედების პირველ პერიოდს.

ამიერიდან ხსენებული პაქტი უნდა დაედვას მთავარ საფუძვლად ეროვნულ ცენტრების მოქმედებას, რომელთაც დღიდან უნდა გააერთიანონ ბრძოლა კავკასიის ყველა ერის შეუვალ უფლებათა დასაბრუნებლად.

თავის იდეებით კონფედერაციის პაქტი არამც თუ გამოხატავს გრძობებს, რომლებიც ასულდგმულებს რუსის ბოლშევიკების ოკუპაციის წინააღმდეგ დაუნდობლად მებრძოლ კავკასიის მასებს, არამედ ამასთანავე სრულიად შეეფერება აწინდელ პოლიტიკურ მომენტის რეალურ საჭიროებებს: ჩვენ ვიმყოფებით დიდი ამბების მოლოდინში. ახლოვდება გადამწყვეტი დღეები, რომლებიც გადასჭრიან ყოფილ ცარისტულ იმპერიის ისტორიულ დრამას და ამასთან ერთად მოახდენენ ჩვენი ერების ბედის საბოლოო სტაბილიზაციას. ამ კრიტიკულ მომენტში სასურველს გამარჯვებას მოგიტანს მხოლოდ მთელი კავკასიის უმტკიცესი ერთობა, რაც შეიძლება მუიდრო თანამშრომლობა მისი ხელმძღვანელებისა, რომელთაც გადაწყვეტილი აქვთ ბრძოლა ბოლომდის საერთო იდეალის მისაღწევად. ამ იდეალს მივალწევთ ჩვენ მხოლოდ კავკასიის კონფედერაციის დროშით.



კავკასიის მოქალაქენო, შეერთდით! დაირაზმენით ყველანი ამ დროშის ქვეშ: მხარი დაუჭირეთ საქმეს, რომელიც ესეცაა ჩვენ განვასრულებთ. შეისწავლეთ იგი და განიხილეთ დაწერილებით ყველა პოლიტიკურ და სოციალურ ორგანიზაციაში, განურჩევლად პარტიისა და პროგრამისა, და მოგვაწოდეთ თქვენი ერთსულოვანი თანხმობა.

დეე თვითეულმა კავკასიელმა გამოამჟღავნოს ამით თავისი დამოკიდებულება პაქტის მიმართ და უჩვენოს მთელს ქვეყანას, რომ კავკასიის კონფედერაციის იდეალი აღაფრთოვანებს მის გულს.

მაგრამ ჩვენი მიზნის მისაღწევად არა კმარა მართლ მისი გამოცხადება: ის უნდა განვასრულოთ! არა კმარა, რომ კავკასიის ერებმა აწარმოონ თავისი მოქმედება კონფედერაციის ღონისძიებით: საჭიროა ამასთანავე, რომ ამ მოქმედებას უძღვეოდენ პაქტის ძალით არჩეული და მის პრინციპების თანახმად მომქმედებდი კომპეტენტური ორგანოები. კ. დ. კომიტეტი ფიქრობს, რომ ამიერიდან საჭიროა გაერთიანება ერთის ხელმძღვანელობით კავკასიის ეროვნულ ცენტრების მთელი პოლიტიკური და რევოლუციური მოქმედებისა.

ამისათვის კ. დ. კომიტეტს განზრახვა აქვს მოიწვიოს კონფერენცია, რომელსაც წარუდგენს თავის მუშაობის ანგარიშს და წინადადებას მისცემს, რათა შედგენილ იქნეს კავკასიის ახალი საერთო ორგანო, რომელსაც მიენდობა პაქტის ძირითადი პრინციპების განხორციელება.

კ. დ. კომიტეტი იმედოვნებს, რომ ამ კონფერენციის დელეგატების არჩევის დროს ეროვნული ცენტრები ყოველ მხრივ შეეცდებიან, რათა განზრახული კონფერენცია იქნეს სრული და წარმოდგენილი იყოს კავკასიის ყველა პოლიტიკური დაჯგუფება, რომლებიც ემხრობიან პაქტის პრინციპებს.

1934 წ. ივლისი.

### ისტორიული აქტი

შესრულდა ისტორიული მნიშვნელობის აქტი. კავკასიის კონფედერაციის აქტი ხელმწიფრილია. უმჯველია, ამ აქტის გამოქვეყნებით დასრულდა იმ საერთო კავკასიურ ძალების მოღვაწეობის განსაზღვრული პერიოდი, რომელნიც მუშაობდნენ კავკასიელ ერების ერთმანეთთან დაახლოებისა და მათი ბრძოლის გაერთიანებისათვის ჩვენი რესპუბლიკების დაკარგული თავისუფლების დასაბრუნებლად.

ამ აქტით იწყება ჩვენი პოლიტიკური ორგანიზაციების მუშაობის ახალი პერიოდი. კავკასიის კონფედერაციას, როგორც იდეას, წინადაც საპატიო ადგილი ეკავა ხსენებულ ორგანიზაციების იდეოლოგიურ სისტემაში, ხოლო დღეიდან იგი ბრძოლის ოფიციალური დროშაა კავკასიის ყველა ერისთვის. ამიერიდან კავკასიის ეროვნული ემიგრაციის არამც თუ მთელი პოლიტიკური მოქმედება უნდა მიმდინარეობდეს კავკასიის კონფედერაციის ღონისძიებით. არამედ მთელმა მისმა პოლიტიკურმა ცხოვრებამ და მოღვაწეობამ უნდა მიიღოს ერთი მიმართულება გაერთიანებულ საერთო—კავკასიურ ცენტრის ხელმძღვანელობით. პაქტი აცხადებს კავკასიელთა გაერთიანების იდეოლოგიურ საფუძვლებს და ამასთანავე ერთად მოითხოვს კავკასიის ერების ეროვნულ—მებრძოლ ძალების ორგანიზაციულ გაერთიანებასაც.

პაქტში გამოთქმული მთავარი იდეები წარმოადგენს იმ ძირითად საფუძვლებს, რომლებზედაც მხოლოდ შესაძლებელია კავკასიის რესპუბლიკების გაერთიანება. კავკასიის ერები, რომლებიც გაუგონარ პირობებში განუწყვეტლივ ბრძოლას აწარმოებენ დაკარგული თავისუფლების დასაბრუნებლად, მწარე გამოცდილებით იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ თვითეულ კავკასიელ ერის თავისუფლება და დამოუკიდებლობა განუკვეთლად დამოკიდებულია მთელი კავკასიის პოლიტიკურ ერთობაზე. მხოლოდ გაერთიანებულ კავკასიელ ერებს შეუძლიათ უზრუნველყონ თავისუფალი და დამოუკიდებელი ეროვნული არსებობა.

კავკასიის ერთობა არის შედეგი იმ რეალურ პირობებისა, რომლებშიაც ჩააყენა კავკასია თვით ბუნებამ და ისტორიულ ამბებთა მსვლელობამ. გეოგრაფიული ერთობა, ეკონომიური მთლიანობა და სტრატეგიული შესაძლებლობა—ამ მთავარი ფაქტორები ამ გაერთიანების.. გარდა ამ მატერიალურ გარემოებათა არა მცირე მნიშვნელობა აქვს მორალურ-ფსიქოლოგიურ ფაქტორსაც. კავკასია არა მარტო გეოგრაფიულად აერთებს დასავლეთს და აღმოსავლეთს, არამედ აქ შეჯგარდინებულია სხვა და სხვა კულტურები და ცივილიზაციები. მიუხედავად რასულ, ეთნურ და სარწმუნოებრივ განსხვავებისა, კავკასიის ერებს ამ შეჯგარდინების გამო აქვთ ბევრი საერთო, რაც გამოიხატება მათ ყოფა-ცხოვრებაში და კულტურულ შემოქმედებაში. ვუწოდოთ ამას საერთო—კავკასიური სული.

მართალია სარწმუნოებრივ ომების დროს და მაშინ, როცა გარეშე იმპერიალისტური ძალები მოდიოდნენ კავკასიაში სარწმუნოებრივ და ტომობრივ განსხვავებათა გამოსაყენებლად,—ეს გამაერთიანებელი საერთო კავკასიური სული ადვილს უთმობდა სხვა დამარღვეველ ფაქტორებს. მაგრამ მას შემდეგ, რაც გამარჯვებულმა ეროვნულმა მოძღვრებამ დაიწყო დენა დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ და პიროველობა მოიპოვა აღმოსავლეთის ერებშიაც, საერთო კავკასიურ სულს მიეცა სათანადო მნიშვნელობა.

თავისუფლების დემოკრატიული იდეალებისთვის





და აქედან გამომდინარე ეროვნულ თავისუფლებისათვის მებრძოლი კავკასიელი ერები, განურჩევლად სარწმუნოებისა და კულტურისა, ხედავენ თავის წინამდევ ერთს საერთო მტერს, რომელიც მათ ამ თავისუფლებას ართმევს. ამ მტრის წინამდევ მიმართულ ბრძოლაში მტკიცდება შეგნება, შეგნება ეროვნულ-პოლიტიკურ ინტერესებისა და ეს ჰქმნის საუკეთესო ნიადაგს საერთო-კავკასიის სულის განსავითარებლად.

თუ კავკასიის რესპუბლიკების აღორძინების დღეებში საერთო-კავკასიური სული საქმათ ვერ გამოქვლიანდა და თუ ჩვენი ეროვნულ სახელმწიფოების პოლიტიკურ აქტებში ცალკე სურვილებს ვერ გასცილდა და საქმედ ვერ იქცა, სამაგიეროდ ბოლშევიკების რეჟიმის შემდეგ, რომელიც ერთნაირად თელავდა ყველა კავკასიელ ერის უფლებებს. ეს სული უფრო და უფრო გაიშალა და შეიქნა ლოზუნგი მსახიბისა, რომლებიც სამკვდოო სასიცოცხლო ბრძოლა ეწვიან წითელ იმპერიალიზმის ტირანის წინააღმდეგ.

დღეს გამოქვეყნებული პაქტი სწორედ ეგუება იმ მასიურ სულისკვეთებას, რომელიც დაადანტურა თვით ბოლშევიკების კომისარმა ელიავამ 1931 წ. ა. კ. კომუნისტების კონგრესზე: «თურმე არაა განსხვავება, ამბობენ ისინი (საბჭოების წინამდევ მებრძოლი პარტიზანები), ყურანსა და სახარებას, მართლმადიდებელთა და გრიგორიანთა შორის... საქმე იქამდის მივიდა, რომ თურქთა აჯანყებას სომხის მღვდელი მეთაურობს, სომხები თურქების ხელმძღვანელობით იბრძვიან და შამქორის იმამმა დააფიცა შიიტები, სუნიტები, გრიგორიანები და მართლმადიდებელნი».

მტერი საჯაროდ ადასტურებს, რასაც ჩვენ ვამბობთ. კავკასიის ერები საერთო ბრძოლის სულით არიან აღტყინებულნი საერთო მტრის წინამდევ ერთი კონფედერატული და დამოუკიდებელი კავკასია — აი ლოზუნგი, რომელიც აერთიანებს ყველას განურჩევლად ეროვნებისა.

პაქტის გამოქვეყნების და საერთო-კავკასიურ ორგანოს დაწესების ამბავი საყოველთაო სიხარულს გამოიწვევს მთელ კავკასიაში და გააძლიერებს ბრძოლის ყოველ წრეში. ცეცხლით აღინთებიან მებრძოლთა გულები, რომელთაც სწყურიათ განხორციელება ისტორიული პაქტის დიდი იდეებისა.

ამ პაქტს, დარწმუნებული ვართ, აღტაცებით შეხვდება ყველა ჩვენი მეზობელი, როგორც ისტორიული მიზანშეწონილობის საუკეთესო მოვლენას. ყოვლის უწინარეს გაერთიანებულ და დამოუკიდებელ კავკასიის იდეამ უნდა დააკმაყოფილოს ჩვენი მეზობლები სამხრეთით, რომელთაც ყოველთვის ჩაგრაგს რუსეთის გაუშაძლარი იმპერიალიზმი.

დამოუკიდებელი კონფედერატული კავკასია თავის ეკონომიური სიმდიდრით და გასავლით შავ ზღვისკენ არამც თუ მშვიდობიანობის ფაქტორია, არამედ ამავე დროს მსოფლიო ეკონომიკის დადებითი ფაქტორიცაა. იგი იქნება კარგი და სასურველი თანამშრომელი ევროპიულ მეურნეობის... ყველაფერი ეს კარგია, მაგრამ თქვენ ხომ ემი-

გრაციიში იმყოფებით! შეიძლება გვიტხრან სკეპტიკოსებმა. დეე, ნუ დაგვალენებენ ასეთი შენიშვნები. საერთაშორისო პოლიტიკურ ცხოვრების ახლობელმა წარსულმა არა ერთხელ გაამტყუნა სკეპტიკოსები. ჩეხოსლოვაკიის კონსტიტუცია გამოქვეყნებული იყო ამერიკაში, სადაც მასარიკი ემიგრანტად ცხოვრობდა. იუგოსლავიის გაერთიანებულ სახელმწიფოს საფუძველი ჩაეყარა კორფუში (საბერძნეთი). ქვეყნიერების აწინდელი მდგომარეობა ბევრით მოგვაგონებს დიდი ომის წინა დროს. მაშინ ეროვნული მოსაკითხი თუ მწვავედ იდგა მხოლოდ ევროპის აღმოსავლეთისთვის, დღეს იგი წამოჭრილია მთელი აზიისთვის, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირისთვის.

მომავალ ამბების მოლოდინში, რომლებიც უქადიან საბჭოებს დანაწილებას, კავკასიის კონფედერაციის გეგმას აქვს დიდი მნიშვნელობა, როგორც იდეას — ძალას. ეს იდეა ხომ უკვე დაუძლეველი ძალაა, ვინაიდან იგი გამაერთიანებელი ლოზუნგია ყველა კავკასიელის განურჩევლად ეროვნებისა და პარტიისა.

მ. გ. თახულაძე.

თეატრალური ფლის შედეგად

კავკასიის წარსული — ეს ლამაზი ფურცლებია მისი ერების ბრძოლისა დამოუკიდებლობისათვის, ბრძოლისა, რომელიც აღსავსაა წარუხტველი დიდებით, სიმტკიცით და უდრეკი სულით. ეს მუდამ ანთებული ცეცხლია, განუწყვეტელი თავდაცვა მძაღლათგან; ეს საერთო ხასიათია, გენია და საქმენი საგმირონი, რომელნიც არასდღეს წარიშლებიან, არამედ ყოველთვის გაგვიანებენ ჩვენი საერთო სამშობლოს კავკასიის ისტორიულ გზებს. დღეს კონფედერაციის პაქტის ხელის მოწერის დღიდან იწყება ახალი ხანა, რომელიც მქედრობთ უნდა გადაესკვნას ჩვენს წარსულს და გადაწმინდოს ჩვენი ცხოვრება ყოველი გარეშე ნარევისაგან. შეიძლება ეს ახალი ხანა ჯერ კიდევ მთლად არ ჩამოქნილია, იგი მხოლოდ მკრთალად ისახება ზოგად ხანებში, ძიებაშია და მოუთმენლად ელის თავის აღმართვას, მაგრამ უკვე ჩვენს კარებზეა მომდგარი და მზადაა შემოსასვლელად. იყო შეცთომები წარსულში, იქნება მძაღლათშიც, როცა შესასრულებელია დიდი საქმეები, მაგრამ დეე ეს შეცთომები საბოლოოდ გაქრენ ჩვენს ცხოვრებაში და მათი ადგილი დაიკვიდროს ახალმა ცხოვრებამ და რწმენამ, განსაცთელთა და ქარიშხალთა შემდეგ ფერფლიდან აღდგენილმა სულმა კავკასიისა. წარსული და მომავალი ერთი მეორეს არ უპირისპირდება, ორსავე ერთი გზა აქვს, ორივე ერთი წყაროდან მიმდინარეობს — ეროვნული სულიდან, ხალხი გუშინ ჰქონდა ერთი სახე, ხვალ ექნება მე-

\*) უაღვილობისა გამე ჩვენი თანამომის, ჩრდილო-კავკასიელი პოლიტიკური მოღვაწის ჩულიკის წერილს ვბეჭდავთ შემოკლებით.



რე. ჩვენ გვწამს, რომ წინ კავკასიის სიმშვენიერის და ღირსების რენესანსია, საერთაშორისო მასტაბით. ეს როლი დამოუკიდებელი კავკასიის ერების ერთობაზე, რაიც გულისხმობს იმას, რომ ერთის დაღუპვა იწვევს მეორეს დაღუპვას, და ეს მოვლენა არ შეიძლება დარჩეს ადგილობრივი მნიშვნელობის, არამედ ის უნდა იქცეს საერთაშორისო ფაქტორად. როგორც დიდი ჭეჭა-ჭუხილის შემდეგ კვლავ ამობრწყინდება მზე, ასევე მრავალ სიმწარეთა და უბედურებათა შემდეგ კავკასია კვლავ დაიწყებს ახალ ცხოვრებას შეცვლილ პირობებში, დეუბრუნდება თავის ტრადიციებს, შეუდგება შემოქმედებითს შრომას.

კავკასიის ისტორიის ფურცლებს რომ გადავშლით, რამდენს ტანჯვას და ვაებას ვხედავთ იქ, მაგრამ რამდენს გამბრუნებას, თავდადებულ ბრძოლას, სულიერ სიმამლეს! ამ ისტორიის სიგრძეზე დიდი გასაჭირების დროს კავკასიის ერებს არასოდეს დაუკარგავთ თავიანთ ბედის ერთობის რწმენა, პირიქით იგი თანდათან ლევიდებოდა და იზრდებოდა...

ამიტომ, კვლავ ვიმეორებთ, მომავალი გვაუბლებს არასოდეს გაწყვილებულ კავშირი ჩვენს დიდებულ წარსულთან. სამწუხაროთ, უნდა აღვიაროთ, ჩვენ ჯეროვანის პატივისცემით და ყურადღებით არ ვეკიდებთ ჩვენს წარსულს, არ ვიცნობთ, არც ვართ საკმაოთ მისი სულით გამსჭვალული. ჩვენ გვაკლდა გაცნობა და შეთვისება ჩვენი საკუთარი ქვეყნის კავკასიის, გაგება ჩვენი ერების სულისა, მათი ჭეშმარიტი გზების, რომლებიც ისე მტკიცედ იყვნენ ერთმანეთზე გადაჯაჭვული. კავკასიის ახალ ეპოქას საფუძვლად უნდა დაედგას მომქმედი და არა ფანტასტიური სიყვარული ჩვენი საერთო სამშობლოს კავკასიის, მისი სახელმწიფოებრივობის, ერთობის და შეერთებული ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. რუსულ იმპერიალიზმის წითელ ურდოების გამოდევნილნი უცხოებაში ვცხოვრობთ სამშობლოს გარეთ. ვფიქრობ, რომ ეს დავიმსახურეთ: არ ვემსახურეთ ღირსეულად სამშობლოს, არ დავიცავით მწარე გაჭირვების დროს, არ დავაფასეთ მისი სიკეთენი და არც გავითვალისწინეთ მოსალოდნელი ამბები. საკუთარ ზურგზე განვიცადეთ ჩვენი წარსული შეცდომების მწვავე შედეგები. თქვენსმეტი წლის შემდეგ, მაგრამ მოვდით გონს? ვავისენოთ კარგად გარდასული ამბები...

ჩვენი ვალია, თავი მოვუყაროთ და კარგად დავიცვათ მომავალ თაობისათვის ყველაფერი კარგი, რაც ჩვენმა ისტორიამ გამოჰყედა, რაც ღრმად გვწამს, გვიყვარს სასოებით, რისთვის ლოცვას ამბობენ წყნარ ღამეებში ჩვენი ერები; რის დავბრუნდებით სახლში, თან ჩავიტანოთ საუკეთესო საკაცობრიო იდეალები; გავაღვიძოთ ჩვენი ძველი ტრადიციები ერთობის, რომ კავკასიის ყველა ერი, როგორც ერთი კაცი, ისე იცავდეს კავკასიის კონფედერაციას...  
იმრაჰიმ ჩელიკ.

### კავკასია და სომხები

სომხურმა გაზეთმა, პარიზის «არაჩმა» და კაიროს «უსაბერმა», რამდენიმე წერილი უძღვნეს კავკასიის ერების ურთიერთობის საკითხს. სომხების აზრი ჩვენთვის მეტად ძვირფასია და დარწმუნებული ვართ ჩვენი მკითხველი ყურადღებით და ინტერესით გაეცნობა ხსენებულ წერილებს, რომელთა თარგმანებს ვებუდავთ ქვემოთ—ნაწილს, დანარჩენს მოვთავსებთ შემდეგ ნუმერში. კავკასიელებს გვმართებს, ერთმანეთს გულდასმით მოვუსმინოთ, ერთმანეთი კარგად გავიგოთ—ესაა ერთად ერთი გზა დაახლოვების და შეთანხმების.

«არაჩ» 1934 წ., 13 ივნისი: «ჩვენი მეზობელ ქვეყნების უცხოეთში მყოფმა ხელმძღვანელებმა ხელახლა აღძრეს კავკასიის ერების თანამშრომლობის საკითხი. საზღვარგარეთის სომხური პრესა ფართო ადგილს უთმობს ამ საკითხს, რომელსაც მეტად სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ეხლანდელ პოლიტიკურ პირობებში.

რა ნიადაგზე ისმება დღეს კავკასიის პრობლემა? გავატანოთ ერთ წუთს მტკვრისა და არაქსის ტალღებს ისტორიის მწარე გაკვეთილები... მოვილაპარაკოთ გულწრფელად, დამშვიდებით, გარეშე ფარულ დიპლომატიურ განზრახვებისა.

ჩვენი ისტორიის საბედისწერო ქამს, როცა ერთად დამოუკიდებლობის და თვითგამორკვევის ტალღა ჩვენი მოგვწვდა, როცა თურქეთის შემომტევი ჯარი ამიერკავკასიის და კერძოდ სომხეთის კარებს მოადგა, ჩვენი მეზობლები ფარულად ეძიებდნენ ყოველგვარ საშუალებას, გარდა ისეთისა, რომელიც იქნებოდა მხსნელი ამიერ კავკასიის ყველა ერისა.

ამას მოყვა ბევრი გაუგებრობა და შეცდომა. ურთიერთობა იმდენად გამწვავდა, რომ სატერიტორიო დავა ბოლოს სისხლის ღვრით დაითავრდა.

თურქეთმა სამხრეთიდან, ხოლო რუსეთმა ჩრდილოეთიდან შემოტევიტ ჩაახჩვეს კავკასიის ახალგაზნა რესპუბლიკები... აი მოკლედ გუშინდელი ამბავი.

გასაგებია, რომ ემიგრანტულ პოლიტიკურ წინამძღოლებს ახლა აქვთ შესაძლებლობა და დრო გაიხსენონ ახლო წარსულის მწარე შეცდომები. ხელახლა შეფასდა კავკასიის ფრონტზე მომხდარი ამბები და ყველა რწმუნდება, რომ კავკასიის უზრუნველყოფა უმთავრესად, ისტორიულად ოთხი ერის ხელთაა—სომხების, ქართველების, აზერბაიჯანელების და მთიელების. გარდა საერთო—კავკასიურ ინტერესებისა თვითვე კავკასიელ ერს აქვს საკუთარი ნაციონალური მოთხოვნილებანი და ინტერესები, მეტად რთულნი და მძიმენი,—მიუხედავად ამისა არის შესაძლებლობა ამ ერთა შეთანხმების, რაიმე modus vivendi-ის გამონახვის.

რა გვითხრეს ამ წლების განმავლობაში ჩვენმა მეზობლებმა «პრომეთეს» და «კავკას»-ის ფურცლებზე? «საბჭოთა მთავრობამ მოსპო კავკასიის თავისუფალი სახელმწიფოები. მათ საწინააღმდეგო ბრძოლაში თქვენ—სომხები—ან უნდა იყოთ ჩვენთან ან ჩვენს წინააღმდეგ».





ცხადია, ყოველ სომეხს ამ კითხვაზე ერთი პასუხი აქვს. სომხის ერს არ შეუძლია არც თქვენი წინააღმდეგი იყოს, როგორც წევრი კავკასიურ ოჯახისა, არც რუსეთის. თქვენ გვითითებთ რუსეთზე, როგორც საერთო მტერზე, ჩვენ კი მას უპირდაპირებით სისხლიან თურქს, როგორც ვერაგ მტერს. ყოვლის უწინარეს, მოდით, დავსძლიოთ თურქი, მერე კი მივადგეთ რუსეთს.

გარდა ამისა, თქვენ არ გაინტერესებთ სომხეთის უზრუნველყოფის და დავის საუკუნოვანი საკითხები. თურქეთთან ჯერ ჩვენ უნდა გავსამართლდეთ, ჩვენ გვაქვს ჩვენი ანგარიშები და უფლებრივი მოთხოვნები. ჯერ კიდევ დიდხანს არაა მოსალოდნელი ვენიზელოსის მოვლენა სომეხთა შორის. ეს აბსოლუტურად შეუძლებელია, ვიდრე სომხეთი არ იქნება დაკმაყოფილებული და აღდგენილი მისი შელახული უდავო უფლებები.

გარედან ადვილია, უცქიროთ 7 8 ასიათას სომეხს-ტოლვილს, უბინაოს, თავმიუსაფარს, რომელიც ათასგვარ შევიწროვებას განიცდიან. ამ დაუძლეურებულ მასებს არ აკმაყოფილებს, როცა თქვენ უითებთ რუსეთის საფრთხეზე...

სომხებისთვის ელემენტარული ჭეშმარიტებაა, რომ რუსეთი მათთვის ნაკლებად საშიშია, ვიდრე თურქეთი. რას იფიქრებდით თქვენ თვითონ, რომ თურქეთი თქვენც ისე მოგპყრობდათ, როგორც მოგპყრა სომხეთს და თქვენი ქვეყნების გარედ იმდენივე ქართველი, აზერბაიჯანელი იყოს, რამდენიც სომეხთა სომხეთის გარედ. უეჭველია, თქვენც ჩვენსავით ამხედრდებოდით ასეთ შეუწყნარებელ უსამართლობის წინააღმდეგ.

ჩვენ დღემდის ვერ მოვაწესრიგეთ ჩვენი საზღვრები კავკასიაში. შესაძლებელი იყო ფსიქიური ნიადავის შექმნა შეთანხმებისათვის, ეს ხელს შეუწყობდა ამ საკითხის გონივრულ გადაჭრას და იქნებოდა როგორც შესავალი ჩვენი მომავალი მოლაპარაკებებისთვის.

ამგვარად, თუ საჭიროა ლაპარაკი, ვილაპარაკოთ ნათლად და გარკვევით, ნურც ვისმე ავიგდებთ აბუხად, ნურც ვისმე დავენდობით გადაჭარბებით.

კავკასიის ერების ერთმანეთთან დაახლოვება და თანამშრომლობა—ისე რომ არ განემორღდეს ძველი შეცდომები—განსაკუთრებით საჭიროა დღეს, როცა სასწორზე შეგდებულია მთელი კავკასიის ბედი.

«არაჩ» 1934 წ., 19 ივნისი. კავკასიის საკითხს ეხება ამ გაზეთის მეორე მეთაურიც, რომლის ზოგიერთს ადგილს მოვიტანთ აქ: «კავკასიის ერები დღეს უფრო, ვიდრე როდისმე, მოწადინებულნი არიან დამოუკიდებლობას. და თუ სომხები ამ საკითხს უდგებიან უფრო ფრთხილად, რის ღრმა საფუძვლები აქვთ,—სხვები: ქართველები, აზერბაიჯანელებ და მთიელები მას ესწრაფვიან ყოველგვარი საშუალებით. მათ არა ყავთ ყველაგან გაფანტული მასები, მათვის არ არსებობს მიწის (ტერიტორიის) საკითხი. ამიტომ დამშვიდებით შეუძლიათ იფიქრონ საბჭოთა უღლის გადაგდებაზე. ამის შეგნებამ მკიდრით შეაკავშირა მათი წარმომადგენლები უცხოეთში, რომლებიც 1921 წლიდან იცვლიან ფერს

და ალავს, მაგრამ ხელსა არ იღებენ თავის ძირითად მისწრაფებაზე—რუსეთისაგან ჩამოშორებაზე, ემყარებიან რა თურქეთის და უკანასკნელის მხარის დამკვირ სახელმძღვთეობის (პოლონეთი, ინგლისი) კეთილგანწყობილებას.

შეთანხმდენ ამ ნიადაგზე ერთმანეთს შორის და ცდილობენ ყოველი ღონით თავის ორბიტაში მოაქციონ სომხებიც. ჩვენ ბევრჯერ გვილაპარაკია, თუ რატომ შორდებიან ერთმანეთს ჩვენი და მათი გზები. ბევრჯერ პირდაპირ დავვისვამს ორსავე მხარეს საკითხი...

ჩვენის შესვლით, სომხების მიმხრობა იქნებოდა ნამდვილი ავანტურა, თუ მათ არ ექნებოდა გონივრული გარანტიები».

სხვა წერილში კიდევ «არაჩ» ამბობს, რომ სომხეთის საკითხი იურიდიულ-უფლებრივ თვალსაზრისით სცილდება კავკასიის ფარგლებს, ერევანის რაიონი მხოლოდ ნაწილია ამ საკითხის და თუ სომხების «ნეიტრალურ ინდიფერენტობით» კავკასიის სოლიდარობა იშლება, ეს არაა ბრალი სომხის ზოგიერთ ხელმძღვანელისა, არამედ ამას ღრმა მიზეზები აქვს.»

### კ ო მ უ ნ ი ს ტ ე ბ ი    ხ ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი

(ყოფილი კომუნისტის მოგონება)

#### 2. პირველი ნაბიჯები.

მოსკოვის დანიშნულ მთავრობის პირველი ნაბიჯები ხასიათდება («პრიანისკის და კნუტის») ტკბილი კვერის და მათრახის პოლიტიკით. ტკბილი კვერი ხელში ეკავა და მათრახი უკან ქამარში ჰქონდა გარჯობილი. ჯერ ამნისტია გამოაცხადა და დაპირდა ხალხს სამოთხის მოწყობას საქართველოში. საქართველო უნდა ყოფილიყო მძღარი და ბედნიერი ყოველ მხრივ. ნამდვილად კი გაძარცვა საქართველო. ის პატარა დოვლათი, რომელიც საქართველოში აღმოჩნდა მისი დაპყრობის შემდეგ, დაუყარებლივ გაჩნდეს საქართველოდან, ხოლო უკანასკნელი კი აავსეს ფასს დაკარგულ რუსული ბზნებით.

ყველა «სტრატეგიულ» სოფლებში ჯარი ჩააყენეს და ხალხს დააკისრეს მისი შენახვა. აკრძალეს პოლიტიკური პარტიები და ჩეკის ჯალათი პონკრატოვი შეუდგა თავის სისხლიან მუშაობას. პირველი სუსნი რეაქციისა მოხვდა სოც.-დემოკრატებს და ქართველ ოფიცრობას. აავსეს ჩეკის სარდაფები და ქურდულად დაიწყეს სვრეტა ქართველი ხალხის ერთგულ შვილების. პოლიტიკური პარტიების აკრძალვამ ვერ გასტეხა ქართველი ხალხის ნებისყოფა და ოდნავდაც ვერ გაანელა მისი მისწრაფება დამოუკიდებლობისადმი. პარტიებმა მოაწყვეს არალეგალური ორგანიზაციები და მთლიანი ეროვნული ფრონტის შექმნით უპასუხეს დამპყრობელებს.

მოსკოვის მთავარი მხავილი იქმნა მიმართული საქართველოში უძლიერესი, სოც. დემ. პარტიის წინააღმდეგ. დემაგოგიითა და ტერორით დაუწყეს სოციალდემოკრატების მიერ «დაბნეულ» მუშებს გა-



კომუნისტება. დაიწყეს სალიკვიდაციო კრებების და ყრილობების მოწვევა სოც.-დემოკრ. მუშების გასაკომუნისტებლათ. ბევრს, ისტორიაში შეტანის ღირს, გამოსვლებს ჰქონდა ადგილი ამ კრებებზე და ყრილობებზე. მუშები, და ხშირად გლეხებიც, ვაბედულად გამოდიოდნენ და აღიარებდნენ, რომ საქართველო დბპრობილია რუსის ჯარის ხიშტებით. ორატორები მოითხოვდნენ რუსის ჯარის გაყვანას, სიტყვის და პრესის თავისუფლებას, სამარცხვინო ჩეკის გაუქმებას დი სხ. ამ თავგანწირულ მამულიშვილთა ბედი ჩეკის სარდაფებში გადაწყდა.

ორჯონიკიძე, სტალინის კარნახით, ყოველნაირ პროვოკაციებს აწყობდა, რომ საბაბი ეშოვა ურჩი ელემენტების გასანადგურებლათ. ორჯონიკიძის მიერ შემუშავებული გეგმა იყო, რომ საშა გეგუქკორს ქუთაისში «მენშევიკებმა ყუმბარა ესროლეს», მაგრამ ყუმბარის გავარდნის უმაღლ, მენშევიკებმა პროკლამაცია გამოუშვეს, იქვე ქუთაისში, სადაც ქვა ქვაზე არ იყო დატოვებული ორჯონიკიძისა და გეგუქკორის დამქაშების მიერ. ხოლო როცა ორჯონიკიძეს კოვჩი ნაცარში ჩაუვარდა, განზე დადგა და გეგუქკორი აიძულა მის თავზე მიეღო გამოქვლივებული პროვოკაცია, თითონ კი ცეკას სხდომაზე დორბლებს ჰყრიდა და მოითხოვდა გეგუქკორისთვის წითელი ორდენი ჩამოერთმია; მაგრამ ცეკას წვერებმა კარგად იცოდნენ, რომ ეს ორჯონიკიძის ხრიკი იყო.

ორჯონიკიძე იყო აგრეთვე ოსმალის ღენერლის მოკვლის მომწყობი ტფილისში 1922 წლ. ზაფხულზე. სასახლეში ცეკას სხდომა იყო. მოგვესმა სოლო. რამდენიმე წუთის შემდეგ ზალაში შემოვიდა პონკრატოვი და განაცხადა, რომ პეტრე დიდის ქუჩაზე მოკლულია ოსმალეთის ღენერალი და ეჭვს გარეშეა, რომ მკვლელობა მოაწყეს დაზნაკელებმა, რადგან დამსწრე ხალხი ამტკიცებს, ტერორისტები სომხურად ლაპარაკობდნენ. ორჯონიკიძემ გაცა განკარგულემა, რომ მთავრობის წარმომადგენელი წასულიყო ოსმალეთის საკანსულაოში და სამძიბარი გამოეცხადებია კონსულისათვის, ხოლო პონკრატოვს კი უბრძანა დაუყონებლივ დაეხვრიტა ათიოდე დაზნაკელი, რომლებიც მკვლელობის დროს ციხეში იმყოფებოდნენ. მე ავიღე სიტყვა და გავილაშქრე მკვლელობასთან კავშირის არ მქონე უდანაშაულო დაზნაკელების დახვრეტის წინააღმდეგ; თან მოვითხოვე საქმის გამოძიება და ჩადენილ დანაშაულის დღის სინათლეზე გამოტანა. ჩემმა გამოსვლამ ორჯონიკიძეს წონასწორობა დაუკარგა; მან უზრდელად შემაჩერა და დაიდრიალა: «როცა პონკრატოვი ამბობს, რომ ტერორისტები სომხურად ლაპარაკობდნენ, საკითხი გამორკვეულია და ყოველივე ძიება მხოლოდ დროს დაკარგავს იქნება».

პონკრატოვი გახარებული წავიდა და ორჯონიკიძის ბრძანება სადისტური სიამოვნებით მოიყვანა სისრულეში.

რამდენიმე დღის შემდეგ გამოირკვა, რომ თურქეთის ფაშის მკვლელობა თვითონ ორჯონიკიძემ მოაწყო იმ მოსაზრებით, რომ საბაბი ეშოვა და სასტიკათ გასწორებოდა პოლიტიკურ მოწინააღმდე-

გებს (დატუსაღებულ დაზნაკელებს). მკვლელობის ამსრულებელი იყვენ ზურგულაძე (ღენერალ ლიანხვის მკვლელი), ჯიბლაძე და ლაბაძე. ორჯონიკიძე ეგ ხალხიც მალე მოიცილა თავიდან: ერთ ღამეს ორჯონიკიძის ბრძანებით ჩეკამ დაატუსაღა სამივე მკვლელი და ჩუმად დახვრიტა და მით საშინელ მოწმებისაგან თავი გაინთავისუფლა.

3. სტალინი ტფილისში.

1921 წლის ივლისში ტფილისში ჩამოვიდა სტალინი. პლენუმის თეატრში დანიშნული იყო მისი მოხსენება შემდეგ თემაზე: «რისთვის მოვიდა საქართველოში წითელი ჯარი?» იმ დროს არავისთვის შეადგენდა საიდუმლოებას ის გარემოება, რომ საქართველო იყო დაპრობილი წითელი ჯარის მიერ სამხედრო ხელობის ყველა წესიერი და უწესო საშვალეების გამოყენებით. სტალინმა ააშენა თავისი მოხსენება ორ ძირითად დებულებაზე. მისი მტკიცებით «საქართველოს დაპრობას მოითხოვდა პირველად ყოვლისა მსოფლიო რევოლუციის ინტერესები» და შემდეგ საქართველოს მშრომელ მასების ინტერესები, «რომლებიც ძალით ჩამოგლიჯეს რუსეთის ძმურ მასებს «გამცემლმა მენშევიკებმა». აქვე უნდა შევნიშნო, რომ მოხსენების შესავალში მან სურვილი გამოთქვა აზრთა ვაცვლა-გამოცვლა მომხდარიყო მოხსენების შემდეგ და ყველა მსურველს გამოეთქვა თავისი აზრი სრულიათ თავისუფლათ და მოურიდებლათ, თან კამათში მონაწილეთ აღუთქვა სრული ხელუხივებლობა. იმ დროს კომუნისტური პარტიის ფენა ტფილისის მუშებში იყო ძალიან თხელი. პლენუმის თეატრი გაქვდილი იყო ხალხით, უმეტესად მუშებით, რომელთა შორის რასაკერაველია 90 პროც. სოც.-დემოკრატები იყო. მსმენელები ნდობით მოეპყრენ სტალინის განცხადებას ხელუხივებლობის შესახებ. ამ განცხადებით გათამამებული დამსწრენი ადვილად წამოეგენ სტალინის ანკესზე და კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს სტალინის მოხსენება, რომელიც წაკითხული იყო ავლაბრული ქართული ენით.

კამათის გახსნამდე უკვე ცხადი იყო, რომ სტალინის მდგომარეობა არ იყო ადვილი. მას რასაკვირველია არ ძალუდა დაემტკიცებია თეატრში თავმოყრილ ქართველი ერის აქტიურ ელემენტებისთვის სარგებლიანობა და მიზანშეწონილობა საქართველოს რუსეთის მიერ დაპრობისა და იქ საოკუპაციო რუსის ჯარის ყოფნისა. მოხსენების დროს ხშირად ისმოდა რეპლიკები: გამცემო, სამშობლოს გამყიდველო, მოღალატე, დამპრობელო, წითელი იმპერიალისტო და სხ. მოხსენების დასასრულ ჩაწერილ მოკამათეთა რიცხვი აღემატებოდა რამდენიმე ათეულს, მათ შორის იყო ბევრი ცნობილი მოღვაწე და ჩინებული ორატორი (ის. რამიშვილი, ალ. დგებუაძე და სხვ.). მოკამათებმა ქვა-ქვაზედ არ დატოვეს სტალინის მოხსენებიდან. რამდენადაც უფრო მკაცრათ ილაშქრებდნენ სტალინის წინააღმდეგ, იმდენად უფრო აღფრთოვანებული ტაშით აჯილდოვებდნენ ორატორს. სტალინს სიბრახისაგან შავი ფერი დაედო. ის მაშინ უკვე ჩფიქრობდა სასჯელის მეთ-





დებზე და მკაცრ ზომებზე. სტალინის საბოლოო სიტყვის დროს, ხალხი სრულიად გამოვიდა მორჩილებიდან და აშკარად დასცინოდა მომხსენებელს. სტალინის ძარღვებმა ვერ აიტანა. მან ვერ დაამთვრა საბოლოო სიტყვა და შტვენისა და ფეხების ბრახუნის ქვეშ ჩამოვიდა ტრიბუნიდან.

გვიანი დამე იყო. მან მოითხოვა სასწრაფოთ ცეკას სხდომის მოწვევა და შეუდგა ანგარიშის გასწორებას ყველასთან. ვინც მოხვდა მას ცხელ ხელზე, იმ დამესვე აიძულა ცეკა მიეღო დადგენილება მთავრობის თავმჯდომარეობისაგან ფ. მახარაძის მოხსნის და მის მაგიერ ბ. მდივანის დანიშვნის. ფ. მახარაძე შეიქმნა პასუხისმგებელი იმ საღამოს სტალინის წინააღმდეგ გამოსვლების, თუმცა კამათის ნება თითონ სტალინმა დართო. სტალინის არგუმენტაცია ფ. მახარაძის მოხსნის შესახებ იყო შემდეგი: «მაგარი ხელმძღვანელობისთვის ისეთი გამოსვლები, რომელსაც ჰქონდა ადგილი მისი მოხსენების ირგვლივ, დაუშვებელია და ამიტომ უნდა მოხსნილ იქნას მახარაძე და დაინიშნოს მდივანი». წინადადება მისცა ცეკას, დაუყონებლივ მოხდეს რეორგანიზაცია ჩეკის და შევესებული იქნეს გამოცდილი ჩეკისტებით მოსკოვიდან. სტალინმა ლაჩრულაო დაარღვია მისი მიცემული სიტყვა ხელუხლებლობაზე და დილისთვის, მისი ბრძანებით უკვე მზათ იყო სია მის წინააღმდეგ მოლაპარაკე ორატორებისა, რომელიც ჩეკამ თავის მხრივაც შეაფო. ცეკას სხდომა დასრულდა გათენებისას სტალინის მუქარით: «საქართველოს უნდა გადაეცვას ოქტომბრის უთო»-ო.

ჩეკისტები დაუყონებლივ შეუდგენ საქმეს და სულ ორიოდვე საათის განმავლობაში ჩეკის სარდაფებში მიემატა რამდენიმე ასეული ქართველი მამულიშვილი.

კობილე კაკაბაძე.

### საქართველოს საკითხი ჩეხოსლოვაკიის სენატში

სწორედ ორი წლის წინეთ 23 ივნისს 1932 წ. ჩეხოსლოვაკიის სენატმა მოისმინა პასუხი მისი თავმჯდომარის კომუნისტ სენატორის ნედვედის ინტერპელაციაზე. შემკითხველი უსაყვედურებდა ჩვენს მეგობარს (Dr. სოუკუბს, რომ იგი თავის გამოსვლებით მხარს უჭერს საქართველოს და მოუწოდებს ჩამოშორდეს საბჭოთა კავშირსო. პასუხი თავისუფლებისათვის რაინდი მებრძოლის ამ შეკითხვაზე ვიცით, ის დაიბეჭდა ქართულ პრესაში<sup>1)</sup>. მოთავსებულ და დაფასებულ იქნა საერთოთ უცხო პრესაშიც. განსაკუთრებით შევიცარიის გაზეთებში.

წელს 15 ივნისს იმავე სენატორმა შეიტანა სენატში შეკითხვა იმავე თავმჯდომარის სახელზე და თანახმათ სენატის რეგლამენტის 69 მუხლისა მოითხოვდა პასუხს საკანონმდებლო ორგანოს პლენუმზე. ინტერპელანტმა ვრცელ შეკითხვაში მოიყვანა სრული

ტი ტექსტი იმ ხელშეკრულობის, რომელიც 9 ივნისს ა. წ. დაიდვა ჩეხოსლოვაკიის და საბჭოთა კავშირს შორის; ხელშეკრულება შეიცავს საბჭოების დე იურე ცნობას და მთელ რიგ მეგობრულ ხასიათის დაპირებებს, სხვათა შორის იმას, რომ არც ერთი მხარე არ დაუშვებს თავის მიწა-წყალზე მტრულ მოქმედებას და პროპაგანდას კონტრაგენტის წინააღმდეგ.

შემკითხველმა ასე გაათავა: თანახმაა თუ არა ამის შემდეგ სენატის თავმჯდომარე გააკეთოს შესაფერი დასკვნები: ან გადადგეს სენატის თავმჯდომარეობიდან, ან გაანებოს თავი კონტრ რევოლუციონურ პრადის ორგანიზაციასთან თანამშრომლობას, რომელიც როგორც მტრულათ განწყობილი საბჭოთა მიმართ უსათუოთ აკრძალული და დაშლილი უნდა იქნეს.


და აი 27 ივნისს ჩვენ მოვისმინეთ სენატში პასუხი ზემოაღნიშნულ შეკითხვაზე ჩვენი მეგობრის, პასუხი ვრცელი, ჩვენი მებრძოლი სამშობლოს აპოთეოზით აღსავსე. სენატის თავმჯდომარე, პირველ ხარისხოვანი ორატორი, პათოსით მოუთხრობს სენატს ინტერპელაციის შინაარსს. დროგამოშვებით მრისხანეთ გადახედვას კომუნისტთა ფრაქციას, რომელიც ასე მიჩვეულია ღრიალს და საითგანაც არც ერთი ხმა საწინააღმდეგო ან საპროტესტო არ მოისმის. მთელი პლენუმში სულგანაბული უსმენს თავის თავმჯდომარეს, უმრავლესობა ფეხზე აშდგარი მიიწვეს წინ ტრიბუნისაკენ, მთავრობის ლოკაში მსხდომი სამხედრო მინისტრი თვალს არ აშორებს ორატორს. მოიყვანა რა სრულიათ ტექსტი შეკითხვის და დაასურათა რა თავისი დამოკიდებულება საბჭოთა რუსეთისამდი როგორც ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო მოღვაწის და აგრეთვე სოციალისტურ ინტერნაციონალის ბიუროს წევრის, ფრ. სოუკუბი გადადის საქართველოს მდგომარეობაზე:

რაც შეეხება საქართველოს რესპუბლიკას, განაგრძობს ორატორი, და თვით ქართულ საზღვარგარეთელ მოძრაობას, დღეს შემძლია მითითება ჩემს პასუხზე სენატორ ნედვედის ანალოგიურ შეკითხვაზე, რომელიც წარმოვსთქვი სენატში 23 ივნისს 1932 წ.

მაშინდელ ჩემს პასუხს ვუმატებ შემდეგს: არასოდეს არ ვყოფილვარ წევრი რაიმე კონტრ-რევოლუციონური მოძრაობის, არ ვყოფილვარ და არც ვარ წევრი და მუშაკი რაიმე ქართული კონტრ-რევოლუციონური ორგანიზაციის. თვით პრადაში კი ასეთი არას დროს არ ყოფილა და არც არის. ჩემს მთავალეობათ მიმართ წინააღმდეგე ყოველნაირ მტკიცებას, რომელსაც სწავლია, ქართველი ხალხის სამართლიანი ბრძოლა თავისუფლების და დამოუკიდებლობისათვის მონათლოს კონტრ-რევოლუციონური სახელით. ყველაფერი ის, რასაც ამ მიმართულებით ამტკიცებს სენატორი ნედვედი ეწინააღმდეგება თვით საბჭოთა რუსეთის პრაგმატულ პრინციპებს. ცნობილია, რომ ქართველები, რომლების რიცხვი უდრის ორნახევარ მილიონს, ეკუთვნიან უძველეს ერთაგანს მსოფლიოში, აქვთ თავისი საკუთარი ენა, განსხვავებული ევროპის ყველა ენებისაგან, მათ ქონ-

<sup>1)</sup> იხ. «დამ. საქ.» № 79.





დ.რ. ხაფიკოვი.

დათ დამოუკიდებელი სახელმწიფო ჯერ კიდევ ქრ. დაბადებამდის. ვინ არ იცის უძველესი კოლხიდა, ოქროს ვერძის ქვეყანა—რომელიც არსებობდა ჯერ კიდევ არი ათას ხუთასი წლის წინათ. საქართველოს ტერიტორია უდრის შეერთებულ ბელგიას და პოლანდიას და ის მდებარეობს ერთა ერთ-ერთ უდიდეს და უმნიშვნელოვანეს გზაზე. საქართველო დაჯილდოვებულია გასაოცარი ბუნების სიმდიდრით, შესანიშნავი მანდელისობით და მინერალური წყლებით, გაუვალი ტყეებით და ტროპიკული ჰავის საამაყო ნაყოფით და ხეხილებით. ქართველი ერი არის მაღალი ზნეობრივი კულტურის და მას აქვს შესანიშნავი ლიტერატურა. 130 წლის წინეთ ხელმწიფე ალექსანდრე პირველმა სამხედრო ძალით შეუერთა საქართველო რუსეთს. საბჭოთა რევოლიუციის შემდეგ საქართველო დაეყრდნო თვით საბჭოების აღსარებულ პრინციპს ერთა თვითგამორკვევის საკითხში და 26 მაისს 1918 წ. გამოაცხადა თავისი თავი დამოუკიდებელ რესპუბლიკად.

ეს ეროვნული და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებელი საქართველო ცნობილ იქნა ვერსალის სა-

ზავო კონფერენციაზე. ის ცნობილ იქნა დე იურე არა თუ მთელი რიგი სახელმწიფოების მიერ, არამედ თვით საბჭოთა რუსეთის მიერ, განსაკუთრებულ ხელშეკრულებით 7 მაისს 1920 წ. ამ ხელშეკრულებაში სიტყვა-სიტყვით ნათქვამია: «რუსეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა აღიარებს რა თავისუფალი თვითგამორკვევის უფლებას ყველა ერებისათვის, რაიც გულისხმობს სრულ გამოყოფასაც, სცნობს ყოველი პირობის გარეშე საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობას და სუვერენობას და თავის ნებით ხელს იღებს ყველა იმ უფლებაზე, რომელიც დღემდის ეკუთვნოდა რუსეთს, როგორც ქართველი ერის, ისე მისი ქვეყნის მიმართ და პირობას სდებს, უარი სთქვას ყოველნაირ ჩარევაზე საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის შინაურ საქმეებში». იმ უფლებებზე მდგომარეობაში, რომელიც ამ ხელშეკრულებით შეიქნა, დღემდის არაფერი შეცვლილა. ცვლილება მოხდა მხოლოდ ფაქტიურ მდგომარეობაში, როდესაც გაზაფხულზე 1921 წ. გარეკილ იქნა საქართველოს დამფუძნებელი კრება და მთელი საქართველოს ტერიტორია რამდე-



ნიმე კვირის განმავლობაში უმაგალითო სისხლიანი ომის შემდეგ დაპყრობილ იქნა საბჭოების სამხედრო და პოლიციური ძალების მიერ. ამიტომ არ არის არაფერი კონტრ რევოლუციონური და არაფერი ჩარევა საბჭოთა რუსეთის შინაურ საქმეებში, როდესაც ქართული მოძრაობა არ მოითხოვს არაფერს გარდა თავისუფლებისა და დემოკრატიული წესებისა; ის მოითხოვს იმ უფლებებზე მდგომარეობის აღდგენას, რომელიც 14 წლის წინეთ თვით საბჭოთა რუსეთმა საგანგებო ზემოთ სცნო განსაკუთრებული ხელშეკრულების დადებით, ის მოითხოვს ამას ესლა მით უფრო, როდესაც საბჭოთა რუსეთი თვით მოვიდა გონს და აუცილებლად და მიზანშეწონილად იცნო შევიდეს იმ ერთა ლიგაში, სადაც განსაკუთრებულ კრებულთა ფურცლებში აღნიშნულია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა.

გასაგებია, რომ ქართული მოძრაობა თავის მუშაობაში განსათავისუფლებლათ მიმართავს მსოფლიო დემოკრატიის საერთაშორისო ფორუმს და სწორეთ აქ ის პოულობს ცოცხალ და სამართლიან გამოძახილს. ეს მით უფრო ბუნებრივია, რომ თვის მიზნის მიღწევას ის ცდილობს მსოფლიოს სინდისის აღშფოთებით და უდიდესი მორალური ღირებულების—საერთაშორისო უფლებისა და დემოკრატიის გამოაყენებით.

ყველაფერ ამას შემძლია დაგემატო, რომ ამა წლის მაისის 18-24 მოხდა ფოლკესტონში (ინგლისში) კონგრესი ერთა ლიგის დამხმარე საერთაშორისო საზოგადოებათა, რომელსაც დაესწრო მთელი რიგი გამოჩენილი პირებისა და რომელსაც ქონდა მსჯელობა აგრეთვე საქართველოს შესახებ და ერთხმით მიღებულ იქნა რეზოლიუცია, სადაც ხელახლა მიქცეულია საერთაშორისო ყურადღება საქართველოს დღევანდელ მდგომარეობაზე და მოთხოვნილია, რომ ეს პრობლემა გადაწყვეტილ იქნეს «მშვიდობიანი საშუალებებით თანახმად საერთაშორისო უფლებისა და პრინციპებისა». ფოლკესტონის კონგრესს დაესწრო ჩეხოსლოვაკიიდან ყოფილი სენატორი და პროფესორი მასარიის სახელობის უნივერსიტეტის დრ. მაკსა. ვიქტორ, რომ ეს თვალსაზრისი საერთაშორისო კონგრესის აბსოლუტურათ ეთანხმება ჩვენი რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკას და თვით საბჭოთა ხელისუფლებასაც სასაყვედურო არაფერი უნდა ქონდეს.

ჩეხოსლოვაკიის ერმა კარგათ იცის, რას ნიშნავს ასი წლის განმავლობაში ბრძოლა თავისუფლებისათვის და ამიტომ ბუნებრივია, თუ ჩვენს ერში ყოველთვის გამოძახილს და სათანადო გაგებას პოულობდა საქართველოს და საერთოთ კავკასიის ერების ბრძოლა თვითგამორკვევისათვის, რაც ასე აღფრთოვანებით დავიხატა ჩვენ სვიატოპალუკ ჩენმა \*). ბუნებრივია გაგება და სიყვარული ყველაზე პატარა, მაგრამ ყველზე უფრო კულტურული ერისა მსოფ-

ლიოში, როგორც არის დემოკრატიული ერი ქართველთა, რომელთაც მისცეს რუსეთსაც კი ამდენი ტალანტები: ამ ერიდან გამოვიდა სახელოვანი ჩხეიძე, წევრი რუსეთის დუმის, თებერვლის რევოლუციის შემდეგ თავმჯდომარე სრულიათ რუსეთის მუშათა და გლეხთა დელეგატთა საბჭოსი; ამ ერმა მისცა მთელ ქვეყანას ისეთი დიდი პატივისცემის ღირსი, საყვარელი მოციქული დემოკრატიის, როგორც არის პირველი პრეზიდენტი საქართველოსი ნოე ყორღანი; ამ ერის შვილია სახელოვანთქმული ორატორი და ორგანიზატორი სრულიათ რუსეთის დემოკრატიული რევოლუციის ირაკლი წერეთელი და დაბოლოს ამავე ერმა მისცა რუსეთს დღევანდელი მისი სახელმწიფო მოღვაწე ქართველი იოსებ ჯუღაშვილი—სტალინი.

ორატორი მიმართავს შემკითხველს—რომ ყველაფერი ეს მიიღოს მხედველობაში, როცა რუსეთი თვით გრძობს საჭიროდ, გადაწყვიტოს ბევრი კონკრეტული საკითხი სხვადასხვა ხელშეკრულების დადებით თვით უსაშინლეს ფაშისტურ და კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან. ხაზგასმით აცხადებს, რომ არ არის არავითარი საბუთი, თავი დაანებოს სენატის თავმჯდომარეობას ანდა თავის ქართველ მეგობრებთან მუშაობას და თანამშრომლობას.

მთელი სენატი კომუნისტების გამოკლებით საერთო ტაშით აჯილდოვებს სენატის თავმჯდომარეს.

გაზეთების დიდმა უმრავლესობამ მოათავსა ნაწილობრივ ეს სიტყვა და სოც.-დემ. ცენტრ. ორგანომ «პრავდა ლიდუმ» უძღვნა სპეციალური წერილი «საქართველოს იურიდიული უფლება».

გ. ლ—ძე.

**პ რ ო შ ხ ს . ო . ნ ი ვ ვ ო ლ დ ი**

ცნობილ შვეიცარელ პროფესორს საერთაშორისო უფლებისა ოტფრიდ ნიპოლდს ამ წლის 21 მაისს 70 წ. შეუსრულდა. ეს ამბავი ღირსეულათ აღნიშნა შვეიცარიის პრესამ და მან უცხოეთშიაც, სადაც ნიპოლდს ბევრი მეგობარი ჰყავს, შესაფერი გამოძახილი ჰპოვა. ჩვენც ამ წრეს ვეკუთვნით, რადგან 19 წ. წინათ შეხვედრამ დაგვაახლოვა და ორი წლის განმავლობაში ერთ ყურნალში თანამშრომლობამ დაგვაშეგობრა კიდევ. რასაკვირელია, ეს პირადი მოგონება საკმარისი არ იქნებოდა, დღევანდელ დუხვირ პირობების გამო, მის იუბილზე ქართველთა ყურადღება შეგვეჩერებია, რომ ნიპოლდს ჩვენი ერის წინაშე განსაკუთრებული ღვაწლი არ მიუძღოდეს. ისიც სწორია, რომ მისი წონის მეცნიერი საერთაშორისო უფლების დარგში ძალიან ცოტა მოიძებნება მსოფლიოში, რომ ამ ნიადაგზე მას დიდი დამსახურება მიუძღვის კაცობრიობის წინაშე და, ნორმალურ პირობებში, ამის კარგად გაცნობა ფრიად სასარგებლო იქნებოდა ქართველობისათვის.


მაშ, არ შეგჩერდებით მის მრავალ ნაწარმოებ-

\*) გამოჩენილი პოეტი და მწერალი მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის, რომელმაც დაიარა მთელი საქართველო და ასწერა ის დიდი სიყვარულით.





ბზე და არც მის საერთო მოღვაწეობაზე. შევნიშნავთ მხოლოდ გაკვრით, რომ ნიპოლდი, ბერნში და იენაში უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, მიწვეულ იქნა 1889 წ. იაპონიის მიერ ტოკიოს უნივერსიტეტში უფლების მეტყველების პროფესორათ, სადაც რამოდენსამე წელს დარჩა. ევროპაში დაბრუნებისას იგივე კათედრა მიაწოდეს ბერნის უნივერსიტეტში. ამ ხნიდან იწყება მისი ინიციატივით სხვა და სხვა ქვეყნებში იურისტთა საზოგადოებების დაარსება საერთაშორისო უფლების შესასწავლათ. რასაც ზოგ უნივერსიტეტში ასეთი კათედრის დაარსებაც მოჰყვა. მისი 27 წ. წინეთ ჰააგის კონფერენციაზე წარდგენილი წინადადება საერთაშორისო უფლების აკადემიის დაარსების შესახებ განხორციელდა 1923 წ. მას ეკუთვნის აგრეთვე იდეა საერთაშორისო უფლების კოდიფიკაციისა.



Professeur O. Nippold.

1919 წ. ჩვენი ევროპაში მოღვაწეობის დღის წესრიგში იდგა უმთავრესათ, მაშინ უკვე ფაქტიურათ არსებულ დამოუკიდებელ და თავისუფალ საქართველოსათვის სხვა სახელმწიფოთაგან ფაქტიური და იურიდიული ცნობა მოგვეპოვებია. ამ საკითხის სირთულე-სიძნელის გასაზომავათ საქმარისია შევნიშნათ, რომ ავტო მალე ოცი წელი იქნება, რაც უზარმაზარი საბჭოთა რუსეთი არაფერს ზოგავს ასეთი ცნობის მისაღებათ და, მიუხედავათ ამისა, დღე-

საც არაა ის ყველა ქვეყნებისაგან ცნობილი. საქართველოს დამოუკიდებლობა მაშინ ახალი ამბავი იყო. თვით ქვეყნის სახელიც ისე მივიწყებული იყო დროთა განმავლობაში, რომ მხოლოდ სპეციალისტთა ვიწრო წრემ იცოდა სიტყვა «საქართველო». საქართველო იყო კომპეტენტური აზრების და გავლენის ამუშავება. აი სწორეთ ამ დროს დასწერა პროფესორმა ნიპოლდმა წიგნი: «La Géorgie du point de vue du droit international».

ამ წიგნში მან ღრმა ანალიზი გაუკეთა საქართველოს და რუსეთის მეფეთა შორის 1783 წ. დადებულ ხელშეკრულებას რუსეთის მიერ ამ ხელშეკრულების ვერაგულათ დარღვევას და საქართველოს დაპყრობას. ნიპოლდმა თავისი დიდი ერუდიციით და უებრო ლოლიკით დამტკიცა, რომ რუსეთმა არამც თუ ვერ მოსპო, არამედ, თეორეტულათ, პირიქით, განათავისუფლა რა ის ხელშეკრულებაში აღებულ მოვალეობისაგან, აღადგინა საქართველოს წინააღმდეგ სრული სუვერენობა. რომელიც ხელშეკრულებით რამოდენიმეთ შეზღუდული იყო, ე. ი. პროტექტორატის რეჟიმში იმყოფებოდა. აქნამდის იურიდიულათ თავისუფალი და დამოუკიდებელი ერი—ამბობდა ნიპოლდი—დღეს ფაქტიურათაც თავისუფალია და მოითხოვა ევროპის სახელმწიფოების მიერ დაუყონებლივ დე იურე ცნობა საქართველოსი, რაც მართლაც სულ მოკლე ხანში ასრულდა.

1921 წელსაც, როცა საბჭოთა რუსეთმაც დაარღვია საქართველოსთან დადებული ხელშეკრულება და ჯარით თავს დაესხა მას, ნიპოლდმა, როგორც ძალმოძრეობის წინააღმდეგმა და უფლების დამცველმა, კვლავ აქტიურათ მხარი დაგვიჭირა ერთა ლიგის დამხმარე ასოციაციათა ინტერნაციონალურ კავშირის კონგრესზე იენისში. აქ, თანახმათ მისი წინადადებისა, გამოტანილ იქნა რეზოლუცია საბჭოთა ვერაგობის წინააღმდეგ და საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენათ, სადაც ის მოითხოვდა ერთა ლიგისაგან ჩარევას. ნიპოლდი სწორეთ იმავე წელს დანიშნულ იქნა სარში ახლად დაარსებულ ინტერნაციონალურ ტრიბუნალის თავმჯდომარეთ და ამიტომ ის მის შემდეგ საერთაშორისო კონგრესზე მონაწილეობას არ ღებულობდა.

ხ. შავიშვილი.

### მეზობრობის კომიტეტი

ამ რამდენისამე ხნის წინად პარიზში დაარსდა კავკასიის, უკრაინის და თურქესტანის ერების მეგობრობის კომიტეტი, რომელსაც შეადგენენ ანერბეიჯანის მხრით მ. ი. მეტეივი და ა. ატამ-ალიბეგოვი, ჩრდილო კავკასიის მხრით—ი. ჩელიკი და ტ. შახმანი, საქართველოს მხრით—ა. ჩხენკელი, თურქესტანის—მ. ჩოკაიოვლი და უკრაინის—ა. შულგინი და და კოსენკო. კომიტეტის მიზანია ერთმანეთთან დაახლოვება იმ ერებისა, რომელთა წარმომადგენლნი შედიან კომიტეტში. ამის გასაზომავათ შედგენილად კომიტეტი მოაწყობს მოხსენებებს, საღამოებს, ბანკე-





ტებს და აგრეთვე გამოსცემს წიგნაკებს და ფურცლებს.

კომიტეტის უკანასკნელ სხდომაზე გადაწყდა, რომ იგი უნდა გახდეს ცენტრი ერთმანეთთან დაახლოებისა საბჭოთა ყველა დაჩაგრულ ერისა. კომიტეტი ყოველი თავის საშუალებით დაიცავს საფრანგეთის და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნების საზოგადოებრივ აზრის წინაშე კომიტეტში შემავალ ერებს და მათ მოამბებს.

კავკასიის, თურქესტანის და უკრაინის ერებს, დიდი ხანი არაა, დამოუკიდებელი სახელმწიფოები ჰქონდათ და ზოგი მთგანი ცნობილი იყო მრავალ უცხოელ სახელმწიფოს მიერ; დღეს ესენი საბჭოთა საზღვრებში ბელორუსეთთან ერთად შეადგენენ აგრე წოდებულ «დამოუკიდებელ რესპუბლიკების» ჯგუფს, რომელთაც, თეორიულად მაინც, კავშირიდან გასვლის უფლება აქვთ. მაგრამ ეს არ უშლის ხელს საბჭოებს თანდათან შეზღუდონ მათი უფლებანი.

ამ ერების წინაშე დიდი საკითხებია დასმული და კომიტეტი უნდა ეცადოს განაგრძოს საქმე, რომელიც დაიწყო კავკასიის, თურქესტანის და უკრაინის დელეგაციების საბჭომ საზავო კონფერენციანზე.

კომიტეტი უახლოვდება თავის იდეებით უზრუნალ «პრომეთეს», რომელიც ავერ უკვე რამდენიმე წელიწადია ემსახურება კომიტეტში მონაწილე ერების ურთერთთან დაახლოვებას. კომიტეტმა დაადგინა, იქონიოს კონტაქტი და თანამშრომლობა საბჭოთა დაჩაგრულ ერების ლიგასთან («პრომეთეს წრე») ვარშავაში, რომლის თავმჯდომარეა პროფ. რ. სმალ სტოსკი ისე, რომ მეგობრობის კომიტეტი აწარმოებდეს მუშაობას დასავლეთ ევროპაში, ხოლო პრომეთეს წრე—აღმოსავლეთ ევროპაში.

სამ ივლისის მოხდა ბიუროს არჩევნები ამა წლისთვის: თავმჯდომარე ა. შულგინი, მისი ამხანაგი მ. ჩოკიაოვლუ, შიდიანი—ატამ-ალიბეგოვი. 11 ივლისს უკრაინელთა მისიის ბინაზე გაიმართა «ჩაი», რომელსაც გარდა კომიტეტის წევრებისა დაესწრენ ზოგიერთი სხვა პირებიც. ბ. შულგინმა მსურველ სიტყვაში აღნიშნა მოკლე კომიტეტის დანიშნულება და მოუწოდა დაჩაგრულ ერებს მხედ განაგრძონ ბრძოლა განთავისუფლებისთვის. აკ. ჩხენკელმა მადლობა გადაუხადა უკრაინელთა, რომ მათ აიღეს ინიციატივა მეგობრობის კომიტეტის დაარსების.

### ბრონისლავ ჰერცოგის ხსოვნას

15 ივნისს ვარშავაში გასროლილ ტყვიამ წუთი-სოფელს გამოასალმა პოლონეთის ერის ერთი საუკეთესო შვილთაგანი შინაგან საქმეთა მინისტრი ბრონისლავ პერაკი.

ვის დასჭირდა ამ სახელმწიფო მოღვაწის მკვლელობა? იმ ჯურის ხალხს ხომ არა, ვინც უფრო ადრე სიცოცხლე მოუსპო პეტლურას, დოლოვკს, ნ. რამიშვილს? ან შესაძლოა მსხვერპლი გახდა რომელიმე გვა აბნეულ ფანტიკოსის? ვინ უწყის. ჯერ ეს საიდუმლოებითაა მოცული. მკვლელი თუ მკვლელები

ჯერ პოლონეთის მთავრობას ვერ აღმოუჩენია.

ბრონისლავი პერაკი ახალგაზდობიდანვე იმ მებრძოლ ვიწრო წრეს ეკუთვნოდა, რომლისთვის დანაწილებულ პოლონეთის სხეულის გამოთიანება და ერისთვის დამოუკიდებლობის მოპოვება, ცხოვრების შინაარსს შეადგენდა. დამოუკიდებელ სამშობლოში პერაკი სახელმწიფო აღმშენებელთა პირველ რიგებშია. განსაკუთრებული ორგანიზატორული ნიჭით და დიდი ჯუჯით ის ხიბლავდა არა მარტო თანამოაზრეთ, თვით უკიდურესი პოლიტიკური მოწინააღმდეგენი ამ მისთვისებებს უდავლოდ დენდნენ. დიდი პატრიოტი პერაკი დამოუკიდებლობისთვის მებრძოლ ერების დიდი მეგობარიც იყო, განსაკუთრებით საქართველოსი. მეგობარი არა მარტო სიტყვით. შრომით დატვირთული, ის მუდამ პოულობდა დროს საქართველოს საკითხისთვის თვალყური ედევნებია, მის სამშობლოში თავშეფარებულ ქართველობისთვის მორალური დახმარება არ დაეკლო. ქართველთა შორის მას არა ერთი და ორი მეგობარი ჰყავდა, და მისი უდროვო დაკარგვით არა მარტო პოლონეთმა დაჰკარგა დიდი შვილი, ქართველებმაც დაჰკარგეთ კარგი, მეტად კარგი მეგობარი და ვინ უწყის რამდენ ჩვენმა თანამემამულემ განსაკუთრებული მტკივნეულობა განიცადა, როცა, გაიგო მისი სიკვდილი.

დიდი ერის ღირსეული შვილის ხსოვნა სამუდამოთ ჩაქსოვილი იქნება მის ქართველ მეგობართა გულში.

ს.

### 1916. ივანე ჯავახიძე

2 ივლისს დამით მოულოდნელად გარდაიცვალა პარიზში ღენერალი ივანე დავითის ძე ჯავახიძე. რევოლუციამდე განსვენებული რუსეთის სამსახურში იყო და ნიჟიერ ადმინისტრატორად ითვლებოდა. რევოლუციის შემდეგ იგი დაბრუნდა საქართველოში და დაუყენებლივ შევიდა თავის ქვეყნის სამსახურში. საქართველოს დამოუკიდებლობის დროს იგი ირიცხებოდა სამხედრო სამინისტროსთან განსაკუთრებითი მინდობილებათა გენერლად და მას არა ერთხელ ქონია მინდობილი ფრიად პასუხსაგები დავალებანი. მას ახასიათებდა თავისი მოვალეობისა და პასუხისმგებლობის მტკიცე შეგნება; კერძო ცხოვრებაში განსვენებული იყო თავაზიანი და თავმდაბალი ადამიანი.

საქართველოს დაპყრობის შემდეგ იგი გადმოიხვეწა უცხოეთში და იგემა ემიგრანტულ ცხოვრების ყველა სიმწარენი, მაგრამ მისგან არავის სმენია ჩვეულებრივი ემიგრანტული წუწუნი და საყვედურები. იგი ბოლომდე ერთგული იყო ჩვენი ქვეყნის აქაურ ხელმძღვანელობისა და საქართველოს ერთგულ პატრიოტად ჩავიდა სამარეში.

დასაფლავებს სოფ. ლევილში; დასაფლავებას დაესწრო დიდალი ხალხი. სიტყვები წარმოსთქვეს ევ. გეგუქკორმა, შ. ამირეჯიბმა და ვ. კვარაცხელიამ.

ი.



### საბჭოთა წიგნის გამოშენა ვაკუაზაში

ვარშავის საყავე «Ips»-ში, სადაც თავს იყრიან ხელოვნების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები და რომლის შენობის მეორე ნახევარი დათმობილია, როგორც ადგილობრივი ისე უცხო ხელოვნების გამოფენისთვის, ამჟამათ საბჭოთა გამოცემლობის გამოფენაა. მიზანი გამოფენის—ჩვეულებრივი «უდიდესი მიღწევებია» 70 ენაზე. ყველაზე მყვირალა ეს პლაკატებია. კარგათ შენიშნა ერთმა ჩემმა მეგობარმა პოლონელმა: «რა რიგ არ ავგიჭრელონ თვალე-ბი, ვერ გავგაბალშევიკებენ»-ო.

ამ გამოფენის შესახებ არ შევაწუხებდი ჩვენს მკითხველს, რომ ერთი გარემოება არ იქცევდეს ყურადღებას. გამოფენას დაკავებული აქვს «Ips»-ს სამივე დარბაზი. შესვლისთანავე პირველი დარბაზი ისეა მოწყობილი რომ მარცხნივ უნდა მოუხვიოთ და სანამ მოუხვევდეთ, ბუნებრივად სტუმარი პირველ დაზგას მიაღდგება. და აი სწორეთ ეს პირველი დაზგა გვიმასპინძლდება სომხური წიგნებით. აზრათაც არა მაქვს დავამცირო ჩვენი მოძმე ერის თანამედროვე თუ წარსული კულტურა, მარა საინტერესო აქ ისაა, რომ სომხური წიგნები ხუთჯერ მეტათაა წარმოდგენილი ვინემ ქართული. რატომ პირველათ სომხური—ეს სომეხ დავითიანის—გარშავაში მოსკოვის ელჩის კომპეტენციას ეხება. ანბანი არ არის დაცული. რაკი სომხურით დაუწყიათ მორცხვით ქართული წიგნები მიუყოლებიათ. ადარებ გამოცემებს. წარმოდგენილი დამცირებაა ქართული გამოცემები. ყველა წიგნების გამოცემელი კი ეგრეთ წოდებული სახელოვანია. მაშინ როდესაც არც ერთ წიგნს სომხურს თუ უმეტესათ სხვა ენებზედაც ვერ ნახავთ უყდოთ და ისიც საუკეთესო ყდებში აკინძულს, ქართულ წიგნს ორდინარულ გარეკანში სტამბიდან გამოსულს—შემდეგ ხელი არ შეხებია.

აი ეს წიგნებიც:

1. «ორი მისამართი»—პოემები (პატარა წიგნაკი). ფრიდონ ნაროუშვილი. სახელგ. 1934 წ.
2. «ძირს სიმინდის რესპუბლიკა». რომანი კონსტანტინე ლორთქიფანიძისა. 1934 წ.
3. ვაჟა ფშაველა. პოემები. ცოტა მოზდილი.
4. დავით კლდიაშვილი. მემუარები.
5. «პირისპირ», რომანი ა. ქუთაისელისა. წიგნი 1.
6. «ვოლტერიანობა საქართველოში». ლევან ასათიანისა.
7. «ბათა ქექია», რომანი დემნა შენგელაიასი 1932.
8. სახელმძღვანელო ბავშვთათვის «თვლა ანგარიში». თ. ერისთავი და თ. თუმანიშვილი.
9. «პატარა მშენებლები», ნ. ნაკაშიძე, ნ. უნაფქოშვილი, მარიჯანი.
10. პ. მ. საყვარელიძის «უკანასკნელი გადასარბენი».
11. ჯეკ ლონდონის «მარტინ იდენი»-ს თარგმანი.

12. «დანგრეული ბუდეები», მოთხრობები ნიკოლორთქიფანიძისა.

13. თარგმანი დანტე ალიგიერის «ჯოჯოხეთი».

ადარებ ამ გამოცემებს მაგალ. ჩეხებისას, ყალმუხებისას, ჩუვაშებისას და სხვადასხვას. რა რიგ დაქვეითებულა გამოცემის საქმე საქართველოში, თუ გამოფენაზე წარმოდგენილი, როგორც ეს საზოგადოთ ცნობილია, საუკეთესო ეგზემპლიარებს წარმოდგენს და თუ ეს ასე არ არის, უნდა ვიფიქროთ, რომ საბჭოთა საბრძანებელში დიდად სძულთ ქართული კულტურა.

მარა დახეთ პოლონურ საზოგადოებას და მის კულტურულ ნაწილს. მხედართა გახეთ «პოლსკა ზბრონა» და დემოკრ. გახეთ «კურიერ პორანი»-ს რეცენზენტები აჭრელებული კედლებით თუ დაზგებით არ დაბრმავებულან. აღნიშნული კორესპონდენტები განსაკუთრებული სიმპატიით შენიშნავენ ქართულ წიგნს: საუცხოვოთ და კეკლუცათ გამოიყურება ქართული შრიფტი. ამ ათასწლოვანი ისტორიის, მდიდარი კულტურის მქონე ერის ამ საუცხოვო შრიფტის ლათინურით შეცვლა ვერც კი გაუბედნიათ ბოლშევიკებსო.

რა რიგ არ დამცირონ ოკუპანტებმა ქართული კულტურა, ქართული მწერლობა, ის მაინც გაიმარჯვებს. ყოვლად შემძლე სტალინსაც კი არ შეუძლია ერთ მახინჯ დღეს მოუყაროს თავი მსოფლიოში არსებულ ქართულ შრიფტს, ქართულ წიგნს და მისცეს ცეცხლს.

ორი საათი ვიყავით ამ გამოფენაზე მე და ჩემი მეგობარი ქართველი. ამ ხნის განმავლობაში გამოფენას ათვალიერებდა ექვსი სტუმარი პოლონელი. ასეთია ვარშავაში ამ გამოფენის მიღწევები.

ვახაბერი.

### წაილი რედაქციის მიმართ

პატივცემულ რედაქტორ!

გთხოვთ ნება მოგვცეთ თქვენი გახეთის საშუალებით მადლობა გადაუხადოთ ყველა ჩვენს და ჩვენი ოჯახის მეგობრებს, რომლებიც თავის თანაგრძნობით მორალურათ დაგვემარნ ჩვენთვის უბედურ დღეებში.

ღრმა პატივისცემით

მადლენ და ივა ელიავა, ვოვი ჭიჭინაძე.

### ბ ი ბ ნ კ უ რ შ ი

«დამოუკიდებელი საქართველო» იყიდება

დ. ქორქელი იან თან

93, Av. Ed. Vaillant, 93.